ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

ხუთშაბათი, 19 ივნისი, 2014 №143 (6454) ფასი: 30 თეთრი

19 ივნისიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

2 ლარი გაზეთთან ერთად



# „შემოდგომაზე საპროტესტო აქციებისთვის მოემზადეთ“

გვ. 3

## „ქართულმა ოცნებამ“ შუბლის ძარღვი გაიწყვიტა



„ბიულეტენებს ჰქონდათ ნაქურდალი და ოქმებში ეწერათ არასამართლიანი შედეგები. ხმა იყო მოცემული ჩვენი კოალიციისთვის და ამათ არ ეწერათ ჩვენი შედეგები. ჩვენი ბიულეტენები მათი სატელიტების ყუთებში იყო გადალაგებული. პირველ უბანზე, გადათვლის შემდეგ მე დამიმატეს ოცი ხმა. აქ გადათვლა მოვითხოვე და იმიტომ. ეს დამატებაც უკანონო იყო“.

## კახა ძაგანია: „მადნეულს „ქართული ოცნება“ დაეპატრონა“

გვ. 6



ISSN 1987-9385



## ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს ირაკლი ალასანია

გვ. 4



## „პარლამენტში „ქართული ოცნება“ უმცირესობაში აღმოჩნდება“

# სოფიო ხორგუანი: „ლარიბაშვილმა მინისტრებს მკაცრად უნდა მოსთხოვოს პასუხი“

## „იმედგაცრუება არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს ნაცმოძრაობა მოენატრა“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ საინფორმაციო პორტალ „პლანეტა გე“-ს ხელმძღვანელ სოფიო ხორგუანთან



***– ადგილობრივ არჩევნებზე ამომრჩევლის უჩვეულო პასიურობა დაფიქსირდა. რითი ხსნით ამას?***

– ადგილობრივ არჩევნებზე ყოველთვის უფრო ნაკლები აქტიურობაა, ამაში უჩვეულო არაფერია, ეს ახასიათებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს. რა თქმა უნდა, არის გარკვეული დონის იმედგაცრუება, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იყო პროტესტი, რომ ის რეჟიმი უნდა მოეცილებინათ, ახლა ეს საშინელება აღარ არის, მოტივაცია უნდა იყოს, მოსახლეობას უნდა ესმოდეს, იმიტომ ირჩევს ხელისუფლებას, რომ ის მას უნდა ემსახურებოდეს, ალბათ, ეს არ იყო ბოლომდე გააზრებული, მეორე მხრივ, ამომრჩეველს არა აქვს არც ერთი ძალის და კანდიდატის მიმართ ნდობა.

***– ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ არ დაუშვებს არც ერთ რეგიონში სხვა ოპოზიციური ძალის გამარჯვებას. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ხომ შეიძლება ბოლომდე ჰქონოდათ მოტივაცია, რომ მივიყვანოთ საქმე ბოლომდე და ახლა უკვე რაიონებში საკრებულოებში მოვიშოროთ ნაციონალები. აქედან გამომდინარე 43% კი არა, არამედ 50% უნდა გამოცხადებულიყო.***

– თუ გვსურს ვიყოთ განვითარებული ქვეყანა, ასე უნდა მოვიქცეთ, მაგალითად, საფრანგეთში როცა საფრთხე იყო ლამის ფაშისტების ხელისუფლებაში მოსვლისა, მთელი საფრანგეთი დაირაზმა და ფეხზე დადგა, რომ მათი მოსვლა აღეკვეთა. არჩევნებზე მიდიხარ არა იმიტომ, რომ ვილაცის წინააღმდეგი ხარ და არ გინდა, რომ ის მოვიდეს, არამედ სხვა მიზეზით, კერძოდ, უნდა ავირჩიოთ ის, ვინც ყველაზე უკეთ მოგიგვარებს იმ პრობლემებს, რაც შენს წინაშეა. ყველა პოლიტიკოსი ამბობს არჩევნების წინ, მე გავიმარჯვებ და არ დავუშვებ სხვების გამარჯვებას, ამიტომ იყო ღარიბაშვილის ეს განცხადება საყურადღებო. მთლიანობაში პოზიტიურად შევაფასებდი ამ არჩევნებს, ეს იყო პირველი დემოკრატიული არჩევნები, აქამდე იყო ომი და ბრძოლა საარჩევნო ყუთებთან. ამ არჩევნებზე რომ მოქალაქის ხმა გადამწყვეტია, ეს ახლა გამოჩნდა. ალეკო ელისაშვილის შემთხვევა ამაზე მეტყველებს. ადამიანებმა დაინახეს, რომ ერთ ხმასაც აქვს მნიშვნელობა. ამიტომ ვფიქრობ, რომ დემოკრატია შედგა. კარგად მახსოვს, აქამდე როგორი არჩევნები ტარდებოდა ჯერ მოქკავშირის, შემდეგ კი ნაციონალების დროს. ის რომ ნაცმოძრაობა ახლა გავიდა მეორე ადგილზე, არ გამკვირვებია, ეს არის პარტია, რომელსაც აქვს მკაცრი ვერტიკალი, სტრუქტურიზებულია, ძალიან მოტივირებული იყვნენ, ბევრისთვის ეს იყო ან სიაში ხარ, ან ციხეში, ასეთი იყო განწყობა.

***– თუმცა იმანაც იმოქმედა, რომ ამომრჩეველმა ვერ მიიღო დაპირებები ამ ორი წლის განმავლობაში, ნაციონალები მუდამ იმაზე მიანიშნებდნენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებები არ შეასრულა და ის არ მუშაობს.***

– ის რომ არსებობს იმედგაცრუება, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს ნაცმოძრაობა მოენატრა და უნდა მისი დაბრუნება. ის რა პროცენტიც აიღეს, ეს არიან სულ, ხელისუფლების რეიტინგი რომ შემცირდა, არ ნიშნავს იმას, რომ ნაციონალების რეიტინგმა მოიმატა. მათ ამომრჩეველი რომ ჰყავთ, ეს ხმამაღალი ნათქვამია, ეს თავად მისი პარტიის აქტივია, უბრალოდ, მაქსიმალურად მობილიზებული იყვნენ. ის რაც მოაკლდა ხელისუფლებას, არ წასულა ნაციონალებისკენ. ის პროცენტები სხვაგან გადანაწილდა. 57% რომ სახლში დარჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ახალს ელოდება. ახლა არის ნოყიერი ნიადაგი იმისთვის, რომ ახალი ძალები წამოვიდნენ. მე ვფიქრობდი, თბილისში რომ იქნებოდა ან მეორე ტური ან 52%, ნარმანია ეს იყო კოალიციის პარტიული რესურსი, არამაფიოზი ჩინოვნიკის იმიჯი, იყო ბიძინა ივანიშვილისადმი პატივისცემა, ამას დამატებული ამომრჩეველი, რომელიც ყოველთვის ხელისუფლებას აძლევს ხმას. ის რამაც გამოიწვია ეს შედეგები, იყო ძალიან ცუდი საარჩევნო კამპანია, არ იყო ეს საარჩევნო კამპანია, ტექნიკურად დაბალი დონის სამუშაო შესრულდა. შიდაკოალიციური დემოკრატია არასწორად იყო გაგებული და აღქმული. თითოეულ კანდიდატზე დემოკრატიულად თანხმდები და მის ასარჩევად თავდაუზოგავად მუშაობ ამომრჩეველთან. რაღაცა მოლოდინი რომ ხელისუფლებამ ვერ გაამართლა, ეს სადავო არ არის. მედიის თავისუფლება, ბიზნესის განთავისუფლება წნეხისგან, რომ ადამიანებს არ აწამებენ და არ კლავენ და რომ თავისუფალი და ჰუმანური გარემოა, ეს შედეგს უფრო გვიან გამოიტანს, მაგრამ დღეს მაცივარს რომ გამოვაღებ, ის უფრო სავსე არ გახდა, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე ასე მალე არსებული პრობლემები არ აისახება. ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენა შესაძლებელია, ახლა ვნახეთ, რომ ახალი ძალა იყო პატრიოტთა ალიანსი, ახალგაზრდები გამოჩნდებიან, საშუალო ფენა საზღვარგარეთ განათლება მიღებული ახალგაზრდები, ალეკო ელისაშვილის მაგალითი ძალიან მნიშვნელოვანია.

***– ჰქონდა ალეკოს რაიმე მომხიბვლელი კონკრეტული დაპირებები?***

– მას ჰქონდა დაპირებები, მან კარგად იცოდა თითოეულ უბანში და ქუჩაში რა პრობლემებია. მისი პიროვნული იმიჯი, წესიერება, არ არის კორუმპირებული სახელმწიფო სამსახურში, არის პატიოსანი, ალეკო თანამდებობამ არ შეცვალა. ცუდი ის იყო, რომ ხელისუფლებაში მოსულებმა საკუთარი ნათესავები დაასაქმეს, ჯიპების სკანდალები იყო, პრემიების, ტელეფონების, ამან გაალიზიანა ხალხი. ახალი პოლიტიკური ძალა რომ შეიქმნას, ამის შანსი არის. პასუხისმგებლობა ხელისუფლებისა გაიზრდება, მას აქვს იმის ბერკეტი, რომ გააყალბოს, ჩვენ ვიცით, როგორ იწერებოდა სასურველი პროცენტები. ის რომ ხელისუფლებამ არ გააყალბა, ეს მართლა არის დემოკრატიის გამარჯვება. ეს არ არის შვეიცარიის დონის არჩევნები, ხელისუფლების პლუსია, რომ ცდუნებას გაუძლო და არ მიმართა გაყალბების და სხვა მაქინაციების გზას. უფრო მეტად უნდა ესმოდეთ მოსახლეობის და მის მაჯაზე მეტად უნდა ედოთ ხელი. ველოდები დიდ და სერიოზულ ცვლილებებს ხელისუფლებაში. ამ არჩევნებმა პრემიერს მისცა კარტბლანში, რომ მიმართოს საკადრო ცვლილებებს. სერიოზულად უნდა გადაახალისოს აღმასრულებელი ხელისუფლება. სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე აღმასრულებელი ხელისუფლება აგებს პასუხს.

***– თუ ამ ორ წელიწადში რადიკალურად არ შეიცვალა ეკონომიკური მდგომარეობა, არა მარტო 57%, არამედ გაცილებით მეტი დაჯდება სახლში და ასე გამოხატავს თავის პროტესტს ხელისუფლების პოლიტიკის გამო. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– ქვეყნისთვის კატასტროფას ვერ ვხედავ, ის რომ ჩემი სოციალური მდგომარეობა უკეთესი არ არის, არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა წინ არ მიდის. უნდა დასაქმდნენ ადამიანები, საშუალო ფენა უნდა შეიქმნას, კერძო ბიზნესს უნდა მიეცეს განვითარების საშუალება. ბიზნესმა უნდა დაასაქმოს ადამიანები და არა სახელმწიფომ. საკანონმდებლო ბაზას არა უშავს, მედიის თავისუფლება არც დემოკრატიას და გამჭვირვალობას ქმნის, ეს არის თავისუფალი სასამართლო, პროკურორები არ ძალადობენ მოსამართლეებზე. სასამართლო რეფორმა უნდა განხორციელდეს, ის რომ ბიზნესს არავინ ატერორებს, ეს ნელ-ნელა გამოიღებს შედეგებს. სადაც იქნება თავისუფალი სასამართლო, განვითარდება ბიზნესი. ხალხი გაალიზიანა ჯიპებმა, პრემიებმა, ტელეფონებმა, ნეპოტიზმმა მთავრობაში. დღეს ვერ გავხდებით ბრიტანეთის დონის ეკონომიკის ქვეყანა, მაგრამ გალიზიანება გამოიწვია იმან, რომ როცა ქვეყანაში ასეთი გაჭირვებაა, ხელისუფალი თავს ამდენის ფუფუნების უფლებას არ უნდა აძლევდეს. კარგ მენეჯერს კარგი ხელფასი უნდა გადაუხადონ, ეს მესმის, სამინისტროებში მაღალი დონის პროფესიონალები კი არ არიან დასაქმებული, არამედ ვიღაცის ბიძაშვილ-მამიდაშვილები. როცა ხედავ, რომ თან მაღალ ხელფასებს იწერენ და ცუდად მუშაობენ, ეს იწვევს გაღიზიანებას. კონკურსებს მიღმა ნიშნავენ ადამიანებს მარტო ნათესაური ნიშნით. ნაციონალების დროს ინიშნებოდნენ პარტიული ნიშნით. კარი ღია ჰქონდათ მხოლოდ ნაციონალების წევრებს. ახლა არის ძმაკაცობა და ნათესავობა. ეს გამოსასწორებელია. დღეს ღარიბაშვილს დიდი შანსი აქვს, რომ მიიღოს რადიკალური გადაწყვეტილებები. მკაცრად მოსთხოვოს მინისტრებს ისეთი მუშაობა, როგორიც სჭირდება ჩვენს ქვეყანაში საჯარო სამსახურს. საჯარო მოხელეს არ უნდა ჰქონდეს გართობის დრო, ის მკლავებდაკაპიწებული უნდა მუშაობდეს. განწყობა ისეთი უნდა ჰქონდეს, რომ მის ქვეშ მიწას ცეცხლი უკიდია. დღეს საჯარო სამსახურში ყოფნა არ ნიშნავს ორი ათას ლარიან ხელფასს, ეს ნიშნავს უძილო ღამეებს და მაგარ მუშაობას. ეს არის ქვეყნისთვის და საკუთარი მოქალაქეებისთვის თავის გადადება. გამაღიზიანებელია, როცა ხედავენ, რომ ხელისუფლებაში მოსულები თვლიან, რომ ეს მათთვის პრივილეგიაა.

***– არასაპარლამენტო ოპოზიციის ხმები და შედეგები სადავოა თუ მოსალოდნელი იყო? აქვე მესამე ცენტრის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე მინდა გკითხოთ?***

– ქვეყანა ჯერ არ არის იმ დონეზე პოლიტიკურად განვითარებული, რომ იყოს საუბარი მემარჯვენეობაზე, მემარცხენეობაზე, ასეთი კონკურენცია არ არის. მესამე ძალაზე მეტად მნიშვნელოვანი ის 57%, რომელიც არ მივიდა არჩევნებზე. არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანების შანსს ვერ ვხედავ. ამის შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, მოახერხებდნენ. ეკლექტური იყო და ხელოვნური გაერთიანებები, მაგალითად, კუკავას და მემარჯვენეების, ან ქდმ-სა და ბურჯანაძის, ეს არ ნიშნავს მესამე ძალას. ვილაცეები გაერთიანდნენ იმისათვის, რომ მოვიდნენ საკრებულოში.

***– იდეოლოგიურად ლორთქიფანიძე და ბურჯანაძის პარტია ახლოსაა. ეს დაადასტურდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიმართ მათმა დამოკიდებულებამ.***

– ეს არ იყო მემარცხენეების გაერთიანება. ხელოვნურად იყო შექმნილი ანტიდისკრიმინაციული კანონის ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟი. ოჯახის სიწმინდის წინააღმდეგ არც „ქართული ოცნება“ გამოსულა. ჩემი პასუხია ასეთი აჟიოტაჟის მიმართ, რომ საკუთარი მოქალაქეების მიმართ მეტი პატივისცემა იქონიონ. იაფფასიანი პოპულიზმი არ მუშაობს. 57% რომელიც სახლში დარჩა, არ წამოეგო ამ იაფფასიან პოპულიზმს. ხალხმა კარგად იცის, ვინ უნდა აირჩიოს.

***– მე მაინც მაქვს ეჭვი, რომ ღარიბაშვილი ისეთ რადიკალურ ზომებს არ მიიღებს, რომ მისი მინისტრები შეცვალოს და ეს პრემიების თემა დარჩენილ ორ წელიწადში ისევ სამწუხაროდ აქტუალური დარჩება.***

– ყველაფერი შედარებითია, 90%-იანი რეიტინგის მქონე კანდიდატები აღარ იქნებიან, ეს დრო წარსულს ჩაბარდა. ერთ თვეში შეიძლება რადიკალური ცვლილებების განხორციელება. საჯარო სამსახურის კანონის პრინციპები აიღონ და ეს არის ყველა საჯარო მოხელის ამოსავალი პრინციპი. იმის არ უნდა ეშინოდეს აღმასრულებელი ხელისუფლებას, რომ კოალიციიდან ვინმე შეიძლება გავიდეს. მეტი კონკურენტუნარიანი გარემოა. საჯარო სამსახური პარტიული არ უნდა იყოს. პასუხს მოჰკითხავენ არა კოალიციის სუბიექტებს, არამედ მინისტრებს და პრემიერ-მინისტრს. მინისტრების და დეპარტამენტების კანდიდატები არ უნდა შეუთანხმოს პარლამენტს ღარიბაშვილმა ამაში, ვარ დარწმუნებული.

***– ამ არჩევნებმა უკან დაწია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიმდინარე პრობლემები. როგორ აფასებთ ამ პროცესებს?***

– ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ, რომ ვილაცა მიდის და ვილაცა მოდის. შეთქმულების თეორიების არ მჯერა, მერე რა, რომ შეხვდა სააკაშვილს, მერე რა მოხდა, ეს კონსტიტუცია ნაცმოძრაობის მიღებულია, პრეზიდენტს ამის მიხედვით არ აქვს დიდი უფლებები. ნაციონალებისთვის მნიშვნელოვანია ნებისმიერი მოქალაქის გადაბირება. მე მხოლოდ ერთი რამ არ მომეწონა ამაში, რომ ეს დაემთხვა ფულესა და ბაროზოს ვიზიტს საქართველოში.

## „ახალქალაქში 3000 ხმა მოგვპარეს“

ახალქალაქის რაიონში არჩევნების გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ, ახალქალაქის კომისიამ „თავისუფალი საქართველოსა“ და „ახალი მემარჯვენეების“ მიერ შექმნილი ბლოკის „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ საჩივრები განიხილა. განხილვას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ინფორმაციით, კომისიამ ყველა საჩივარი არ განიხილა, ერთსაათიანი სხდომა მხოლოდ 4 ნაკლებად სკანდალური საჩივრის განხილვას მიუძღვნა და დანარჩენი საჩივრების განხილვა ხვალისთვის გადადო.

სხდომა ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა იმიტომ, რომ საოლქო კომისიის წინ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მხარდამჭერები იმყოფებოდა. მომიტინგეებს სიტყვით „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ლიდერებმა – კახა კუკავამ და მანანა ნაჭყებიამ მიმართს.

„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ განცხადებით, კომისიის სხდომას ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) წარმომადგენლის სახელით ესწრებოდა ადამიანი, რომლის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. მას შემდეგ, რაც მას მოსთხოვეს წარედგინა თავისი თავი, ის ოთახში ჩაიკეტა, რასაც მცირე ექსცესი მოყვა. როგორც „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ლიდერები აცდახებენ, ისინი ბოლომდე მიიყვანენ ამ საქმეს საოლქო კომისიაში და შემდეგ ცესკო-ში გაასაჩივრებენ.

„ჩვენ ველით, რომ საოლქო კომისია არცერთ საჩივარს არ დააკმაყოფილებს, თუმცა მოვითხოვთ და იმედს გამოვთქვამთ, რომ ცესკო-ს ხელმძღვანელობა ბიულეტენებს გახსნის და რეალურად დაადგენს იყო თუ არა გაყალბება. საქმე ეხება არა თითო-ოროლა, არამედ რამდენიმე ათასი ხმით მანიპულირებას“-განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

მანანა ნაჭყებიას თქმით, „არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის“ მინიმუმ 3000 ხმაა მოპარული.

„ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც ერთხელ საქართველოში ბიულეტენები გაიხსნას და სიმართლე დადგინდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საჩივრების ფორმალურად განხილვის ტრადიციის გაგრძელება იქნება, რომელიც საქართველოში წლების მანძილზე დამკვიდრდა“ – განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

ნიუსპრესი

## გიგი უგულავა: „პროკურატურას პროცესებზე გამოცხადების ეშინია“

გიგი უგულავა მისთვის დედაქალაქის მერის უფლებამოსილების შესაძლო აღდგენას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პროკურატურას სასამართლო პროცესებზე გამოცხადების ეშინია. ამის შესახებ გიგი უგულავამ ჟურნალისტებს განუცხადა.

შეგახსენებთ, რომ გიგი უგულავასთვის უფლებამოსილების აღდგენის საკითხზე სასამართლო 20 ივნისს იმსჯელებს. პროცესი რამდენჯერმე გადაიდო, რის მიზეზიც პროკურორების გამოუცხადებლობა გახდა.

20 ივნისის სასამართლო პროცესზე, დაცვის მხარე შუამდგომლობას დააყენებს, „გაუქმდეს ის განჩინება, რომლის საფუძველზეც გიგი უგულავა თბილისის მერის თანამდებობიდან გათავისუფლდა.

„თბილისის განვითარების ფონდთან“ დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეზე გიგი უგულავას და მასთან ერთად ბრალდებულებს 48 მილიონამდე ლარის გაფლანგვას ედავებიან. ამ საქმესთან დაკავშირებით გიგი უგულავას დედაქალაქის მერის უფლებამოსილება შეუჩერდა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლის საფუძველზეც უგულავას უფლებამოსილება შეუწყდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა განდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ არჩევნების შედეგების დამახინჯებაში ადანაშაულებს

**მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადებითად შეფასდა, ოპოზიცია დარღვევებზე საუბრობს. არჩევნების შედეგით ყველაზე დიდ უკმაყოფილებას ნაციონალური მოძრაობა გამოთქვამს, რადგანაც თავიდანვე ისინი უპირატეს გამარჯვებას პროგნოზირებდნენ.**

შორენა გონგლაძე

„ნაციონალური მოძრაობა“ ირაკლი ღარიბაშვილის იმ განცხადებამ გაალიზიანა, რა დროსაც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „ძალიან ღირსეული და დამაჯერებელი გამარჯვება“ მოიპოვა ადგილობრივ არჩევნებში და არასწორია სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ ელექტორატმა ხელისუფლებას ამ არჩევნებზე გაფრთხილება მისცა. მისი თქმით, ასეთი შედეგი არც ერთ პოლიტიკურ ძალას ასეთ დემოკრატიულ ვითარებაში არასოდეს არ მოუპოვებია.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების „დამახინჯებაში“ კიდევ ერთხელ ადანაშაულებს და აცხადებს, რომ შეფასებები, რაც „ქართული ოცნების“ მხრიდან გაკეთდა, რეალობისაგან შორსაა. პარტიის შეფასებით, არჩევნების შედეგებით ჟონგლიორობა არის ხელსაყრელი პოლიტიკური რეალობის შექმნის მცდელობა ერთადერთი ოპოზიციური ძალის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, წინასწარ გამოცხადებული დევნის მორიგი ტალღის დაწყებამდე.

– საზოგადოებამ იხილა ხელისუფლების უსუსური და ღიმილის მომგვრელი რამდენიმე მცდელობა დაეხატა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ისეთი შედეგები, რომელიც ერთი მხრივ, აჩვენებდა თითქოს „ქართული ოცნების“ ელექტორალური მხარდაჭერა არ შემცირებულა, ხოლო მეორე მხრივ, დაადასტურებდა პრემიერის მიერ უკანასკნელ პერიოდში გაკეთებულ არა ერთ განცხადებას, რომ ერთადერთი ოპოზიციური ძალა „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ არსებობს.

ამ სურათის შექმნას მიეძღვნა გამართული მთავრობის სხდომა, შუადღისას გამართული ვიცე-პრემიერის სპეციალური ბრიფინგი და უკვე დღის მეორე ნახევარში გამართული პრემიერის სპეციალური ბრიფინგი.

თავისთავად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ხელისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან მესამე დღეს, ნაცვლად იმისა, რომ საუბრობდეს მიზეზებზე, თუ რატომ დაკარგა მმართველმა პარტიამ მხარდამჭერების დიდი ნაწილი, ან როგორ აპირებს გაცემული დაპირებების ახალი კასკადის შესრულებას, კვლავ დაკავებულია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ბრძოლით, – აცხადებენ ნაციონალურ მოძრაობაში და ამომრჩევლების დაბალ აქტიურობას ხელისუფლების არაეფექტური მუშაობით ხსნიან. მათი განცხადებით, ხელისუფლების მცდელობა, ნაციონალური მოძრაობა გაენადგურებინა, კრახით დამთავრდა.

– საზოგადოებამ ასევე იხილა პრემიერის სრულიად ცინიკური განცხადება იმის თაობაზე, რომ არჩევნებზე ჩვენი მოქალაქეების უკიდურესად დაბალი აქტიურობა თურმე ყოფილა მოსახლეობის მხრიდან „ქართული ოცნების“ უპირობო მხარდაჭერის ილუსტრაცია. ძალიან სამწუხაროა, რომ ხელისუფლება, ნაცვლად ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ფიქრისა, კვლავ აგრძელებს იმას, რითიც იყო დაკავებული ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში – ჩვენი განადგურების წინასწარ განწირული მცდელობით.

ამავე დროს, გვსურს სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ „ქართული ოცნების“ დაჟინებული მცდელობა, დაამახინჯოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები, არ წარმოადგენს ბატონი ივანიშვილის ან ბატონი ღარიბაშვილის მორიგ ახირებას. მათი ჟონგლიორობა არჩევნების შედეგებით არის ხელსაყრელი პოლიტიკური რეალობის შექმნის მცდელობა ერთადერთი ოპოზიციური ძალის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, წინასწარ გამოცხადებული დევნის მორიგი ტალღის დაწყებამდე, – აცხადებენ ნაციონალურ მოძრაობაში. მათივე განცხადებით, ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ მორიგი რეპრესიების დაწყებას გეგმავს.

საზოგადოებამ არა ერთხელ მოისმინა ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები „ცხელი ზაფხულის' თაობაზე, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ელის. სწორედ ჩვენი პოლიტიკური გუნდის წინააღმდეგ რეპრესიების მორიგი ეტაპის დასაწყებად სჭირდება „ქართულ ოცნებას“, ერთი მხრივ, მაღალი ლეგიტიმაცია (რომელიც ამ არჩევნებზე ვერ მიიღო), ხოლო მეორე მხრივ, ჩვენება, თითქოს „ნაციონალური მოძრაობა“ იმდენად სუსტია, რომ მის მიმართ განხორციელებული დევნა შეუძლებელია პოლიტიკური ხასიათის მატარებელი იყოს. ჩვენ გვსურს, კიდევ ერთხელ განვაცხადოთ, რომ ნებისმიერი მცდელობა არჩევნების შედეგების დამახინჯებულად წარმოჩენის, ისევე, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განადგურების, განწირულია კრახისთვის. ერთადერთი, რაც ხელისუფლების ასეთ ქმედებებს მოაქვს, ეს არის ზიანი ჩვენი ქვეყნისთვის.

ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლებას და პირადად ბატონი ივანიშვილს – თავი დაანებონ ერთადერთ ოპოზიციურ პარტიასთან ომს, ეს არ არის ის, რისთვისაც ისინი საქართველოს მოსახლეობამ აირჩია და მეტი დრო დაუთმონ ქვეყნის წინაშე მდგარ შიდა თუ საგარეო გამოწვევებზე ფიქრს, – აცხადებენ ნაციონალურ მოძრაობაში.

# ნინო ბურჯანაძე: „ოცნება შეიძლება პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრეს და ხელისუფლებაში ნაცმოძრაობა მობრუნდეს“



კოალიცია „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, დიდი ალბათობით „ქართული ოცნება“ შეიძლება პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრეს და ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“ მობრუნდეს.

„რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ძალად მოხსენიებას და მით უფრო მეორე პოლიტიკურ ძალად მოხსენიებას, ეს არის დღევანდელი ხელისუფლების დამსახურება. „ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ კიდევ პოლიტიკური ძალაა ქვეყანაში და უფრო ძლიერდება, თუ ასე გააგრძელებს ხელისუფლება, შეიძლება „ოცნება“ გაქრეს პოლიტიკური ასპარეზიდან“-განაცხადა ბურჯანაძემ

პრემიერ-მინისტრმა ირკალი ღარიბაშვილმა გუშინ განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“ მეორე პოლიტიკურ ძალად აღარ აღიქვამს.

ნიუსპრესი

# ჯონდი ბაღათურია: „შემოდგომაზე აქციებისთვის მოემზადეთ“

## „ქართულმა ოცნებამ“ შუბლის ძარღვი გაიწყვიტა

ნონა ცაბაძე



**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ და „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები ერთად გააყალბეს. ამ თემაზე ოპოზიციონერი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

**ჯონდი ბაღათურია:**

– ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ არჩევნებმა ჩაიარა უსამართლო, არათანაბარ გარემოში. ჩვენ დაპირისპირება გვაქვს, ერთმანეთთან გარიგებაში მყოფ ორ ძალასთან, ეს არის ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება. ამ ორივე ძალას ერთი პატრონი ჰყავს, ორივეს აქვს განუსაზღვრელი რაოდენობის შავი ფული. ამ ბარიერების მიუხედავად, ჩვენ საკმაოდ ძლიერი კოალიცია შევქმენით. ჩვენმა კოალიციამ საკმაოდ მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწია ამ ორივე ძალას. ჩვენ უფრო მეტი კონკურენციის გაწევა გვინდოდა, მაგრამ არ მოხერხდა. გარკვეული სისუსტეები ჩვენც გვქონდა, თუმცა რამდენიმე ოლქში მოვუგეთ როგორც ოცნებას, ისე ნაციონალურ მოძრაობას. ჯერ კიდევ წინ გვაქვს მეორე ტურები, თუმცა საკმაოდ კრიტიკულად ვარ განწყობილი თბილისის შედეგების მიმართ. მე შემიძლია კატეგორიულად ვთქვა, რომ ქართულმა ოცნებამ და ნაციონალურმა მოძრაობამ ერთად გააყალბეს არჩევნები.

***– აცხადებთ, რომ გააყალბა, თუკი არჩევნები გააყალბა, მაშინ ისე გააყალბებდა, რომ მეორე ტური არ გამხდარიყო საჭირო. თუ გაყალბებაა, გაყალბება იქნებოდა...***

– არჩევნები ჩვენ გაგვიყალბეს, თორემ ერთმანეთს კი არა. არჩევნები იყო უსამართლო და არაკანონიერი. აქედან გამომდინარე, შედეგებიც უსამართლო დადგა.

***– რაში გამოიხატება ეს უსამართლობა?***

– ეს არ არის ქვეყნის მოსახლეობის განწყობა. რაც შეეხება ოცნებას, მათთვის ეს არასასურველი შედეგი განაპირობა იმან, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნებზე არ მოვიდა. სხვათა შორის, ეს არის ხელისუფლების მიმართ ნეგატიური განწყობის მაჩვენებელი. ხელისუფლება და ნაციონალური მოძრაობა, დღეს ერთად ცდილობენ, რომ ამ შედეგებიდან სრულიად სხვა სურათი შექმნან.

***– რას გულისხმობთ?***

– გეტყვით, რასაც ვგულისხმობ. მე, მაგალითად, თბილისში რამდენ უბანზეც არ მივედი, ყველგან 20 და 30 ხმა დააკლდათ. ზოგან იყო 50 ხმაც დაამატეს. მაგალითად, მე-13 უბანზე.

***– რას ნიშნავს, ხმები დააკლდათ?***

– ნაქურდალი ჰქონდათ ხმები და რომ დავითვალეთ, მერე დაგვიმატეს ხმა. ჩვენ რომ არ მივსულიყავით, ამ ხმებს ისე ხომ არ დაამატებდნენ?! რა გააკეთეს იცით? ბიულეტინები ჰქონდათ ნაქურდალი და ოქმებში ეწერათ არასამართლიანი შედეგები. ხმა იყო მოცემული ჩვენი კოალიციისთვის და ამათ არ ეწერათ ჩვენი შედეგები. ჩვენი ბიულეტინები მათი სატელიტების ყუთებში იყო გადალაგებული. პირველ უბანზე, გადათვლის შემდეგ მე დამიმატეს ოცი ხმა. აქ გადათვლა მოვითხოვე და იმიტომ. ეს დამატებაც უკანონო იყო.

***– როგორ ახსნეს ეს ყოველივე?***

– უი, ბოდიში, აგერ ყოფილა თქვენი ხმები და ვერ დავითვალეთო. დათვლის დროს სად იყო ეს ბიულეტინები? ან შემდეგ რა სამზარეულოში იპოვეს?! ეს ბიულეტინები, რომლებიც ჩემი მისვლის შემდეგ აღმოაჩინეს, უკვე სხვის ყუთში იდო. ქართული ოცნების და ნაციონალური მოძრაობის ყუთებში. იქვე გადავედი მეორე უბანზე, იქ 30 ხმა დაამატეს... კიდევ ერთ უბანზე 50 ხმა დაამატეს. მე სულ ხუთი უბანი შემოვიარე და დაახლოებით 200 ხმა დაგვიმატეს და გვიხსნიდნენ, რომ არასწორად დავითვალეთ, შემთხვევით აღმოჩნდა სხვა ყუთშიო. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენ უბანზე არ ვყოფილვართ? და თავიდან არ გადაგვითვლია ხმები? 3700 უბანია საქართველოში, საშუალოთ 20 ხმა ვიანგარიშოთ 3700 უბანზე რამდენია. ეს არის 75 ათასი ხმა. მე გეუბნებით ყველაზე მინიმალურს, 20 ხმა რომ მოეპარათ, თუმცა ყველა უბანზე, სადაც ვიყავი, 30-50 ხმა დაგვიმატეს.

***– შეგიძლიათ იმის თქმა, რომ ოცნებას აწყობდა მეორე ტური და მეორე ტურში მეტოქეთ ნაციონალები ჰყოლოდა?***

– ოცნებას აწყობდა ის, რომ ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილზე გასულიყო. ოცნება და ნაციონალური მოძრაობა ერთი და იგივე პარტიები არიან. გახსოვთ ალბათ, სააკაშვილს პარლამენტში ჰყავდა თავისი თავისი სატელიტები, რომლებსაც რასაც უნდოდა, იმას აყეფებდა და გაჰყავდა არჩევნებში. ახლა იგივეს აკეთებს ოცნება. ამ ადგილზე გადმოსკუპდა ნაციონალური მოძრაობა. ამიტომ „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილზე იყოს მუდმივად, რაღაც წამყვანი პოზიციები ჰქონდეს. სრული დარწმუნებით გეუბნებით, რომ ქართულმა ოცნებამ, ტანზე შემოიხია იმისთვის, რომ ნაციონალური მოძრაობა შეენარჩუნებინა. ეს რომ ვერ გაქაჩა მანიპულაციის გზით, ადგა და უბრალოდ არჩევნები გააყალბა.

***– რა შეეშალა „ქართულ ოცნებას“, რატომ წააგო თბილისი და რატომ გახდა საჭირო მეორე ტური?***

– ოცნებაში ნამუსი აღარავის აქვს, მოდით, აქედან დავიწყოთ. ყველა პრობლემა არის ნამუსის და შუბლის ძარღვის უქონლობიდან გამომდინარე. დღევანდელ ხელისუფლებას სწორედ ეს სჭირს. ხელისუფლებაში ერთი ფრთა გამოიკვეთა, კალაძის მეთაურობით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, კალაძის რესპუბლიკელების და ნაციონალების გაერთიანებული ფრთა, რომელმა ფრთამაც ბოლომდე იბრძოლა იმისათვის, რომ ხელისუფლებას გაყალბების გადაწყვეტილება მიეღო. კოალიციაში ყველა არ უჭერდა მხარს გაყალბებას, მათ ყველაფერი გააკეთეს და მიაღწიეს კიდეც იმას, რომ არჩევნები გაყალბებულიყო ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ. ეს ყველაფერი როგორ შერჩება, ამასაც ვნახავთ. აღდგომა და ხვალეო. მალე მოვა შემოდგომა და ამ ყველაფერს ნახავთ.

***– რას აპირებთ?***

– ისინი აუცილებლად დაისჯებიან ამისთვის. ვინც პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, ისინი პოლიტიკურად დაისჯებიან, ვინც ხმები ყარა და უნამუსობა ჩაიდინა, ეს უბნის თავმჯდომარე იქნება თუ ოლქის, მათ მიმართ არანაირი დანდობა არ იქნება. არავითარი დანდობა არ ექნებათ არჩევნების გამყალბებლებს. სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს! ამის გამო ძალიან მწარედ ვაზღვევინებთ.

***– წინ მეორე ტურია, რას ელოდებით?***

– მეორე ტურს ძალიან ბევრგან მოვიგებთ. ლაგოდეხშიც მეორე ტურის აუცილებლობაა და სანამ დროა, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები. მე ამას იმის გასაგონად ვამბობ, ვინც უბნებზე საცვლებით შეიტანა ბიულეტინები და ჩაყარა ყუთებში. იქ შედეგები გასაუქმებელია და არჩევნები ხელმეორედ არის ჩასატარებელი. ამას ნამდვილად არ ვაპატიებთ. არავის არაფერი არ ეპატიება. ქვეყანაში ჩამოყალიბდა კასტა, არჩევნების გამყალბებლების, რომლებიც ყველა ხელისუფლებას მიეწეპნენ. ჯერ შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირთან იყვნენ, მერე – ნაციონალურ მოძრაობასთან, ახლა ამ გამყალბებლების არმიამ ტყავი გამოიცვალა და გადავიდა ქართულ ოცნებაში. აი ამათ კანონმა ტყავი უნდა გააძროს. ამათ ყველას უნდა მისცენ მგლის ბილეთი, რომ საარჩევნო სისტემაში კი არა, საერთოდ არსად მუშაობის საშუალება აღარ უნდა მისცე. ვინც ასეთ დანაშაულს სჩადის და არჩევნებს აყალბებს, რადგან ეს არის იგივე ერის ისტორიის გაყალბება.

***– გამართლდა ვარაუდები, რომ ნაციონალური მოძრაობა კვლავ მეორე ადგილზე გავიდოდა. ეს ხალხის არჩევანი იყო?***

– მეორე ადგილზე გავიდნენ იმიტომ, რომ არჩევნები გააყალბეს. კი ხალხის დიდი რაოდენობა არ მოვიდა არჩევნებზე, მაგრამ ვინც მივიდა, მათი ხმებიც გააყალბეს. ნამდვილად არ იყო ხალხის არჩევანი ნაციონალური მოძრაობა. სწორედ ოცნებამ გააყალბა ხმები მათ სასარგებლოდ. ხომ გეუბნებით, ხმები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, ნაციონალების სასარგებლოდ იყო დათვლილი და მათ ყუთებში აღმოვაჩინეთ. მე დაახლოებითი ციფრი გითხარი, ზუსტ ციფრს ვერ გეუბნებით, რამდენია მოპარული. მე ხუთ უბანზე ვიყავი, თუმცა 225 უბნიდან არის საჩივარი შემოსული, რომ იგივე განმეორდაო. ჩვენ ამას აუცილებლად გადავამოწმებთ. მე მიმაჩნია, რომ ხალხმა თავისი არჩევანი უნდა დაიცვას. ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს. ჩემთვის ბრძოლა ჟანგბადია და მე ამ ბრძოლაზე უარს ვერ ვიტყვი.

***– როგორ აპირებთ ბრძოლას და თქვენი ხმების დაცვას?***

– ახლა ზაფხულია, არჩევნებიც ამ პერიოდს სპეციალურად დაამთხვიეს... ჯერ მეორე ტურია ჩასატარებელი, ერთი-ორი კვირა ჩვენც გვჭირდება ამ ყველაფრის დასათვლელად და გადასამოწმებლად და მე ვერ გეტყვით, ამ ეტაპზე რამდენად მოხერხდება აქციების დაწყება, ხალხიც არ იქნება ქალაქში...

***– ანუ პოლიტიკურად მკვდარი სეზონია?***

– კი ასეა. მოცემულობას ანგარიში უნდა გაუწიო. ჯერ ოქმებია დასათვლელი, ვნახოთ, რა სურათი დაიდება. შეიძლება დავიწყოთ კიდეც ეს აქციები. ავწონ-დავწონით ყველაფერს. თუმცა ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ აქციები შემოდგომაზე აუცილებლად იქნება.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0. ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# „პარლამენტში „ქართული ოცნება“ უმცირესობაში აღმოჩნდება“

## ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს ირაკლი ალასანია

შორენა მარსაგიშვილი

**სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე თავდაცვის სამინისტროსგან განმარტებებს ითხოვს. თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას კი ურჩევს, მკაფიოდ თქვას, თუ რა უნდა. რატომ გააგზავნეს სინამდვილეში ცენტრალურ აფრიკაში ქართველი სამხედროები, რაშია შემჩნეული ალასანია, ყიდის თუ არა თავდაცვის სამინისტრო მოიერიშე თვითმფრინავებს, ამ თემებზე გიორგი თავდგირიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



***– მედიაში გავრცელდა ინფორმაცია. რომ თავდაცვის სამინისტრო უფულობის გამო მოიერიშე თვითმფრინავებს ყიდის. სამხედრო უწყება ამასთან დაკავშირებით არანაირ განმარტებას არ აკეთებს. თქვენ თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით?***

– ჭორებზე საუბარი არ მინდა. თავად ეს ინფორმაცია არის ძალიან სერიოზული. თუ ის სიმართლეს არ შეესაბამება, თავდაცვის სამინისტრო უნდა გამოვიდეს და უარყოს. არ არის კარგი, როცა ამ უწყების გარშემო მითქმა-მოთქმა მიმდინარეობს. ნაციონალების დროს სამინისტრო ჩაკეტილი იყო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ერთი კარგი რამ გაკეთდა, თავდაცვის სამინისტრო გაიხსნა. მერე აღმოჩნდა რომ ეს გახსნა იყო მოჩვენებითი.

***– რატომ იყო მოჩვენებითი?***

– იმიტომ, რომ ძალიან ბევრ საკითხზე ძველებურად მკითხაობა გვიწევს. დროულად არ კეთდება განმარტებები. ეს უწყება ღია, რომ ყოფილიყო. ზემოთ ნახსენებ სკანდალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით სასწრაფოდ გაკეთდებოდა განცხადება. კომენტარმა დააგვიანა, რაც სერიოზულ ეჭვებს ბადებს. ეჭვები ჩნდება ცენტრალურ აფრიკაში ქართული სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნასთან დაკავშირებითაც. იქ კონტინგენტი ჩვენი ხარჯებით გავაგზავნეთ. არადა ირკვევა, რომ იქ არანაირი ევროპული და მულტინაციონალური სამშვიდობო ოპერაცია არ მიმდინარეობს. კიდევ ვიმეორებ, იქ კონტინგენტს ჩვენი ხარჯით ვაგზავნით. ამის პარალელურად ჩნდება ინფორმაცია, რომ თანხების უქონლობის გამო მოიერიშე თვითმფრინავებს ვყიდით. ერთი კვირაა ინტერნეტში ვეძებ ინფორმაცია ცენტრალურ აფრიკაში სამშვიდობო ოპერაციის შესახებ. არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ დევს.

***– საფრანგეთი ხომ მონაწილეობს ამ ოპერაციაში?***

– საფრანგეთს იქ თავისი ინტერესები აქვს. მათ გარდა იქ სხვა არავინ წასულა. მხოლოდ საქართველომ გააგზავნა თავის სამხედრო მოსამსახურეები. თავდაცვის სამინისტრომ ამ კუთხითაც უნდა გააკეთოს განმარტებები., ასევე მაინტერესებს, თუ მართლაც მოხდა თვითმფრინავების გაყიდვა, როგორ უნდა მოხდეს საავიაციო პარკის შევსება.

***– მოიერიშე თვითმფრინავების შესაძლოა გაყიდვას დიდი ამბები მოჰყვა. ბევრი ამას კატასტროფად აფასებს. თქვენი აზრით, ეს ქვეყნისთვის დიდი ტრაგედია იქნება?***

– ამის თქმა ძალიან ძნელია. იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით რა გეგმები აქვს ალასანიას უწყებას სამხედრო ავიაციის განვითარებასთან დაკავშირებით. საქმეში ჩახედული რომ ვიყო, გეტყოდით არის თუ არა თვითმფრინავების გაყიდვა ტრაგედია. თუ თვითმფრინავებს, ყოველგვარი გეგმის გარეშე გავყიდით ეს იქნება ტრაგედია. თუ ჩანაცვლება და საავიაციო პარკის განახლება ხდება, მაშინ ეს მისასალმებელია. სხვა მხრივ თვითმფრინავების, ტანკების, ვერტმფრენების გაყიდვა არის შეცდომა და დანაშაული.

***– ისე საინტერესოა, თვითმფრინავებს ვყიდით, სამაგიეროდ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსებას ვითხოვთ.***

– ასეთი რამ რომ მოხდებოდეს კარგი იქნებოდა. არსებობს ერთი კარგი სიტყვა უტოპია, რომელიც მეოცე საუკუნეში ძალიან პოპულარული იყო. უტოპიური ოცნებები ძალიან დიდი ბოროტების საფუძველი გახდა. ერთ-ერთი ასეთი უტოპიური ოცნება იყო კომუნიზმის მშენებლობა. რამდენი მილიონი ადამიანის სისხლზე და ძვლებზე შენდებოდა ეს კომუნიზმი საუბრის სხვა თემაა. მოდით, უტოპიურ ოცნებებს შევეშვათ და ვიყოთ რეალისტები. რეალობა კი ასეთია, ჩვენ ახალ თვითმფრინავებს ვერ შევიძენთ. ახალ თვითმფრინავებს ვერც თბილისის საავიაციო ქარხანა ვერ გამოუშვებს. გაყიდვის შემთხვევაში გავანახევრებთ საავიაციო პარკს. რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის წინააღმდეგ მოწყობილი დივერსია იქნება.

***– სარაკეტო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ. ირაკლი ალასანიამ გაყინული ტვინებისთვის კი გააკეთა განმარტება, მაგრამ მაინც გაუგებრობაში ვართ.***

– ალასანიას ეს ძალიან ცუდად გამოუვიდა. მან ჩვენ კი არ გვეძახა გაყინული ტვინები, არამედ ეს იარლიყი რასმუსენსა და აპატურაის მიაწება. ერთმაც და მეორემაც ისე გაიგეს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ქვეყნის ტერიტორიაზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განთავსებას მოითხოვდა. ასე რომ ალასანიამ ინგლისურად კარგად თქვას ხოლმე თავისი სათქმელი.

***– ვითომ შეეშალა? ინგლისური მან ბრწყინვალედ იცის.***

– ინგლისური მართლა კარგად იცის. ამიტომაც აზრები ჩამოაყალიბოს ხოლმე კარგად და მერე გააკეთოს განცხადებები. თავად იტყვის ხოლმე რაღაცას არასწორად და მერე ჩვენ გვაბრალებს, რომ არასწორად გავიგეთ. მე როგორც გავიგე ალასანია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებს ითხოვდა. ოღონდ არ დაუსახელებია რას ითხოვდა. მას უნდა დაეკონკრეტებინა რა სურდა „სტინგერები“, „ბუკები“ თუ „პატრიოტები“. ასეთი მყვირალა განცხადებები კარგია და ყურსაც ლამაზად ესმის. მაგრამ არ მესმის რატომ დასდევენ ასეთ სისტემებს, როცა ყველაზე მარტივი რამ ვერ გადაუჭრიათ.

***– მარტივ რამეში რას გულისხმობთ?***

– წელიწად-ნახევარია ხელისუფლებაში არიან და სარეზერვო სისტემის მოწესრიგების გეგმაც კი ვერ დაწერეს. მის განხორციელებას ვინ ჩივის, გეგმაც კი არ შემუშავებულა. არადა, სულ 2 ფურცელზე უნდა დაწერონ. როცა ამას არ აკეთებ, ვერ დავიჯერებ რომ ალასანია საქართველოზე დარდობდა როცა იმ სისტემების განთავსებას ითხოვდა.

***– აბა, რატომ გააკეთა ასეთი განცხადება?***

– უკვე კარგა ხანია ვაცხადებ, რომ თავდაცვის მინისტრი დამოუკიდებელი თამაშისთვის ემზადება. სწორედ ამას უკავშირდება მისი ბოლოდროინდელი აქტიურობა. ის ცდილობს ისეთი ხალხის მოზიდვას, რომლებსაც დასავლეთის მიმართ გარკვეული სიმპატიები გააჩნია.

***– შეძლებს მათი გულების მოგებას თავდაცვის მინისტრი?***

– რამდენად მოახერხებს მათი გულების მოგებას, ამაზე ვერაფერს გეტყვით. მისი აქტიურობა სწორედ ამისკენ არის მიმართული. ამ ყველაფრის დამაგვირგვინებელი მისი ბოლო განცხადება იყო. სადაც მინისტრმა პრემიერს ფაქტიურად შეურაცხყოფა მიაყენა.

***– რომელ განცხადებაზე საუბრობთ?***

– პრემიერმა „ბიბისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. რომ რუსეთს ამ ეტაპზე აფხაზეთის და სამაჩაბლოს ანექსია გეგმაში არა აქვსო. სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა ამაზე თქვა, მამალმერთმა არ იცის რუსეთს რა უნდა და პრემიერმა საიდან მოიტანაო. ალასანია დასავლურად მოაზროვნე პოლიტიკოსია. დასავლეთში კი როცა მინისტრი პრემიერს რაღაცაში არ ეთანხმება თანამდებობას ტოვებს. ისიც ასე უნდა მოქცეულიყო. ის არ გადადგა, სამაგიეროდ გამოვიდა და სახელმწიფო მეთაურის კრიტიკა დაიწყო.

***– რადგან ამ თემაზე ჩამოვარდა საუბარი, თქვენ თუ ეთანხმებით ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებას სამაჩაბლოსთან და აფხაზეთთან დაკავშირებით?***

– სახელმწიფო მეთაურს ემოციების აყოლის უფლება არა აქვს. მისი ასეთი შეფასება რუსეთის მიმართ აგრესიულად განწყობილ საზოგადოებას არ მოეწონა. ირაკლი ღარიბაშვილმა ძალიან გაწონასწორებული განცხადება გააკეთა. სახელმწიფო მეთაური სწორედ ასეთ განცხადებებს უნდა აკეთებდეს.

***– ამბობთ, ალასანია დამოუკიდებელი თამაშისთვის ემზადებაო. არის ვერსია, რომ ის პრემიერ ღარიბაშვილის ადგილს უმიზნებს. ამაზე რას ფიქრობთ? შესაძლებელია ასეთი რამ?***

– დღეს არსებულ ვითარებაში ალასანიას პრემიერობის არანაირი შანსი არა აქვს. პრემიერი უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა. დღეს პარლამენტზე დიდი გავლენა აქვს ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს. რომელიც მის გაპრემიერებას არ დათანხმდება. ძალიან საინტერესო იქნება, როგორ მოახერხებს თავდაცვის მინისტრი ოცნების წევრების გადმობირებას. გაპრემიერება მას მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეუძლია. მან თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს თანაპარტიელები, ნაციონალები, რესპუბლიკელები.... მოკლედ პარლამენტში ახალი უმრავლესობა უნდა შეიქმნას. ახალი უმრავლესობა ახალ მთავრობას დაამტკიცებს. პრემიერად კი თავდაცვის მინისტრს წარადგენენ. ალასანია ხალხში ნაკლებ აგრესიას იწვევს. ახალი უმრავლესობის შექმნის გარდა ალასანიას გაპრემიერების შანსი არა აქვს. ახალ მოკავშირეებს ის აუცილებლად მოძებნის. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დაამარცხა ნაცმოძრაობა და მოიპოვა საპარლამენტო უმრავლესობა. თუმცა ეს უმრავლესობა ძალიან სუსტია, რადგანაც ძალა, რომელიც ხელისუფლება შეცვალა შესაძლოა უმცირესობაში აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში მე პარტია „ქართულ ოცნებაზე“ ვსაუბრობ.

***– ზემოთ ცენტრალურ აფრიკაში შესასრულებელ სამშვიდობო მისიაზე ისაუბრეთ. უფრო კონკრეტულად რა ხდება აქ. თითქოს გაერო აპირებდა ამ მისიაში ჩართვას.***

– ამაზე თავდაცვის სამინისტრომ უნდა გაგვცეს პასუხი. უნდა ვიცოდეთ რა სახის მისიას ვასრულებთ ცენტრალურ აფრიკაში. გარკვეული განმარტებები უნდა გააკეთოს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. სამწუხაროდ, ეს ნაჩქარევად დაგეგმილი მისიაა. მალი საფრანგეთის ყოფილ კოლონიას წარმოადგენს. საფრანგეთს ამ ტერიტორიაზე დღემდე დიდი გავლენა აქვს.

***– საფრანგეთს რა ინტერესები აქვს მალიში?***

– ამ ქვეყანაში ურანის და ალმასის საბადოებია. შესაბამისად ფრანგები ცდილობენ იქ არსებული სიტუაცია დაარეგულირონ. ბოლო 2 პრეზიდენტი იქ თანამდებობიდან ჩამოაგდეს. ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირებაა. იქ ახლა საფრანგეთი ცენტრალური აფრიკის სხვა ქვეყნებთან ერთად სამშვიდობო მისიას ახორციელებდა. თავი მაინცდამაინც კარგად ვერ გაართვეს ამ მისიას. გაკეთდა განცხადება, რომ იქ გაერო დაიწყებდა მულტინაციონალური სამშვიდობო მისიის შესრულებას. გაეროს წარმომადგენელთა განმარტებით, ისინი სექტემბრამდე ვერ ახერხებენ ამ მისიის დაწყებას, ამიტომ არის ჩემთვის გაურკვეველი მალიში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა.

---

# აფხაზეთში სიტუაცია დაიძაბა

## ალექსანდრ ანქვაბი რევანშისთვის ემზადება

შორენა მარსაგიშვილი

**მიმდინარე წლის 24 აგვისტოს აფხაზეთში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნებში მონაწილეობას რაულ ხაჯიმბა მიიღებს. რომელიც წინა სამ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა.**

ვადამდელი არჩევნები დღის წესრიგში მაისის ბოლოს დატრიალებული მოვლენების გამო დადგა. ან უკვე ექს-პრეზიდენტ ანქვაბის ოპოზიციამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის სენობა შტურმით აიღო. თავად პრეზიდენტი გუდაუთაში გაიქცა. ის რამდენიმე დღე რუსეთის სამხედრო ბაზას აფარებდა თავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე მას ექვსჯერ მოუწყვეს ტერაქტი, დიდი ალბათობა იყო რომ მისი მოკვლა ეცადათ.

ანქვაბის სიცოცხლე ახლაც საფრთხეშია. როგორც რუსული მედია იუწყება, მას სახელმწიფო დაცვა მოუხსნეს. ეს გადაწყვეტილება საკოორდინაციო საბჭომ მიიღო. რომელსაც რაულ ხაჯიმბა უდგას სათავეში. ამ დროისთვის ექსპრეზიდენტი მოსკოვში იმყოფება.

სანამ ის მოსკოვში საქმეებს აგვარებდა, სოხუმში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დაიწყეს მზადება. საკოორდინაციო საბჭომ უკვე დაასახელა პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი. მათი რჩეული რაულ ხაჯიმბა გახდა. არადა, 2 კვირის წინ ის თავს იფასებდა არჩევნებში მონაწილეობას აღარ მივიღებო.

აფხაზური მედიის ცნობით, პრეზიდენტის პოსტზე ხაჯიმბას კანდიდატურას მხარს საკოორდინაციო საბჭო, „სახალხო ერთიანობის ფორუმი“ და ომის ვეტერანთა გაერთიანება „არუაა“ უჭერენ. მათ ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურაც შეარჩიეს. ის ვიტალი გაბნია იქნება.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, რაულ ხაჯიმბას მთავარი კონკურენტი ანქვაბის მემკვიდრე იქნება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაცვის გარეშე დარჩენილმა ექს-პრეზიდენტმა მოსკოვში საქმეები მოაგვარა და აფხაზეთში დაბრუნდა. როგორც ამბობენ, ის ახლა აქტიურად მუშაობს ახალი გუნდის და მემკვიდრის შესარჩევად.

– ანქვაბი არ არის ის ადამიანი, რომელიც ასე იოლად ნებდება. ჩამოუშვებს ხელებს და მემუარების წერას დაიწყებს, – წერს აფხაზი ჟურნალისტი ვიტალი შარია.

არჩევნების ბედს ხშირად ცენტრალური საარჩევნო კომისია წყვეტს. აფხაზეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ბატალ ტაბაღუა ხელმძღვანელობს. პარტიათა საკოორდინაციო საბჭო მოითხოვს, რომ მან სასწრაფოდ დატოვოს თანამდებობა. ტაბაღუა წინა ხელისუფლების ანუ ანქვაბის წარმომადგენლად მიაჩნიათ. მართალია თანამდებობიდან ჩამოაგდეს, მაგრამ აქ ექს-პრეზიდენტის ეტყობა ისევ ეშინიათ.

სერიოზულ ვნებათაღელვას იწვევს გალის ფაქტორი. საკოორდინაციო საბჭო ყველაფერს აკეთებს, რომ გალის მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცეს. საუბარი იმ ხალხზე, რომლებისაც საქართველოს და აფხაზეთის პასპორტები გააჩნიათ. დღეს არსებული ინფორმაციით, გალში მხოლოდ 3 ათასი ბიულეტენი გაიგზავნება. შესაბამისად 3 ათასი კაცი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. საბოლოო გადაწყვეტილებას საპარლამენტო კომისია მიიღებს, რომელმაც უკვე დაიწყო მუშაობა.

ამ საკითხზე სასაუბროდ საკოორდინაციო საბჭოს წევრები 13 ივნისსაც შეიკრიბნენ. შეხვედრაზე ბატალ ტაბაღუაც მიიწვიეს. როგორც აფხაზური მედია იუწყება, საუბარი ძალიან მწვავე იყო და საქმე ხელჩართულ ჩხუბამდეც მივიდა. ჩხუბში ბატალ ტაბაღუას ნათესავებიც ჩაერთვნენ.



14 ივნისს აფხაზეთის შს სამინისტრომ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. მათი ცნობით, 13 ივნისს, საღამოს 10 საათზე ცესკოს თავმჯდომარის ნათესავები საკორდინაციო საბჭოს შენობაში მიცვივდნენ. ისინი თავს „არუაა“-ს ერთ-ერთ ლიდერს დაურ აჩუგბას დასხმიან თავს. ერთ-ერთ თავდამსხმელს იარაღიც ამოუღია და აფხაზეთის ომის ვეტერანი დაუჭრია.

1992-1993 წლების ომის ვეტერანები აქ დიდ პატივში არიან. აჩუგბას დაჭრას დიდი ამბები მოჰყვა. ვეტერანთა რამდენიმე გაერთიანებამ მომხდარის გამო პროტესტი გამოთქვა. მათი განცხადებით, ინციდენტის პროვოცირება ბატალ ტაბაღუამ მოაწყო. ამიტომაც მისი ცესკოს თავმჯდომარეობიდან გადადგომა მოითხოვეს.

„სახალხო ერთიანობის ფორუმმა“ (მისი თავმჯდომარეა რაულ ხაჯიმბა) ქვეყნის პარლამენტს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა. სადაც ცესკოს ხელახალ დაკომპლექტებას ითხოვენ. მათი თქმით, ცესკოს შემადგენლობაში სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები უნდა შევიდნენ.

ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ვალერი ბლანბა მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებელ ზურაბ აგუმავას და შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ზურაბ ლოლუას შეხვდა. მან ძლოვანებს საქმის პირად კონტროლზე აყვანა სთხოვა.

ამ ალიაქოთში მალევე ჩაერთო ორგანიზაცია „ამცახარა“. რომელიც ასევე ომის ვეტერანებს აერთიანებს. ისინი ალექსანდრ ანქვაბის მხარდამჭერები არიან.

„ამცახარა“ 13 ივნისის ღამით მომხდარ ინციდენტში ოპონენტებს ადანაშაულებს. მათი თქმით, ეს ყველაფერი მოხდა იმისათვის რომ ბატალ ტაბაღუა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოსტიდან ჩამოაშორონ.

აფხაზური კანონმდებლობის თანახმად კი ცესკოს შემადგენლობის დათხოვნა არც ისე იოლია. ამის შესახებ განცხადება ტაბაღუას უწყებამაც გააკეთა. არსებული კანონმდებლობით, ცესკოს შემადგენლობას პარლამენტი რამდენიმე წლით ირჩევს და მათი გამოწვევა ვადის ამოწურვამდე არ მოხდება.

ჟურნალისტებთან საუბარში ტაბაღუა 13 ივნისს მომხდარ ინციდენტსაც შეეხო. მომხდართან ყოველგვარი კავშირი უარყო და ძალადობის ფაქტი დაგმო.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ აფხაზეთში პოლიტიკურად ცხელი ზაფხული იქნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ალექსანდრ ანქვაბიც ემზადება. რომელიც ყველაფრის მიუხედავად მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა.

ეს მისმა ოპონენტებმაც კარგად იციან. არც მოსახლეობის განწყობაა მათთვის უცხო. ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ, რომ მათმა ფავორიტმა მორიგი სირცხვილი არ ჭამოს საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ისე, რაულ ხაჯიმბას ნამუსი, რომ ჰქონდეს საპრეზიდენტო არჩევნებს არც კი გაეკარებოდა. ხალხი სამჯერ რომ გეტყვის უარს, წესით უნდა მიხვდე, რომ წასვლის დროა. მაგრამ კაგებეს წიაღში ამოზრდილ ხაჯიმბას ნამუსი ეტყობა არა აქვს. სამაგიეროდ კრემლის გარკვეულ წრეებში აქვს მხარდაჭერა და ამით აპირებს ფონს გასვლას.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# „მოლოდინი სიხარულისა იგივე სიხარულია“

## ვარიაციები ტექნო ბუმის გათამაშებაში მოსაგებ პრიზებზე

დედას ოთხნი ვყავართ. ერთი და და ერთი ძმა მყავს. მეოთხე მამაჩემია. დედა მას „ყველაზე პატარა ბავშვს“ ეძახის, რადგან მამას თურმე ყველაზე მეტი მოვლა სჭირდება, ყველაზე დაუჯერებელია და ჯიუტიც – დედა ამბობს ასე. დედას დიდი ხანია გაზქურის შეცვლა უნდა. სამზარეულოში ფუსფუსი შემაძულაო ძველმა ტექნიკამ. ფულს ცხადლივ თუ მალულად აქუჩებს. თავისი ყულაბა აქვს. ზოგჯერ მამა აძლევს ფულს, ზოგს ყოველდღიურ ხარჯს „ჰპარავს“, თუმცა ხანდახან იძულებულია კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფული რალაც გადაუდებლისთვის მაინც გახარჯოს.




წელს მამას ჩემი ძმის დაბადების დღეზე ვილაც ძველი მეგობარი მოჰყვა. იმ კაცმა იუბილარს 100 ლარიანი აჩუქა. არ ვიტოვებდით. აბა ამხელა საჩუქრის ვალად აღება სად შეგვიძლია... ცალკე დედა უარობდა, ცალკე მამა... ჩემმა ძმამ კი იმ ფულს ხელი დაავლო და მაგიდის ქვეშ დაიმალა. ყველანი უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით. სტუმარი რომ წავიდა, საწყალ იუბილარს მშობლებმა საყვედურები დააყარეს – „ამას გასწავლიდით, ამას გარიგებდითო?“ იმან კი ფული დედას გაუწოდა და უთხრა: ეს ფული გაზქურისთვის მინდაო“. დედას კი არა ჩვენც აგვიცრემლდა თვალები...




ნინა იაკოვლევა, გათამაშების გამარჯვებული

– გამოგიტყდებით და „ტექნო ბუმში“ პირველად შევიძინე საჭირო ნივთი – ტელევიზორი ვიყიდე და აღმოჩნდა, რომ გათამაშების პირობებით, 1 ბილეთი მეკუთვნოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერთი და საოცრად გამიმართლა, ემოციებს ვერც კი აღგიწერთ – ჯერ ისევ შოკში ვარ და არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდება.



დალი ბოლქვაძე, გათამაშების გამარჯვებული:

– „ტექნო ბუმის“ ბათუმის ფილიალში ტელევიზორი და მიქსერი შევიძინე და წარმოუდგენელი რამ მოხდა, რასაც ვერც კი ვიოცნებებდი – დედაქალაქში მშვენიერი ბინა მოვიგე. აზარტული არასოდეს ვყოფილვარ, არც არაფერი მომიგია ოდესმე, მაგრამ ამ ამბავმა ყველაფერი შეცვალა! თურმე, ხალხი მართლა იგებს, არ ყოფილა სიცრუე ასეთი გათამაშებები და ახლა, როცა კარგად ვიცი, რას ნიშნავს მოგება, ყველას გულით ვუსურვებ, ჩემი ბედი გაიზიარონ!

ახლა დედა და მამა ბჭობენ რომელ მაღაზიაში წავიდნენ. დედამ პირველად უყურა ყველა რეკლამას ყველა სერიალში.

გული ხარბია, კიდევ მეტი გვინდა – „წამო ტექნობუმში წავიდეთ, ეგებ რამე კიდეც მოვიგოთო“, იძახის დედა. მამა დასცინის: ვინ რას მოგაგებიებს, ქალო, ეგ ყველაფერი მარტო რეკლამააო!..

– რატომ, აგერ ნახე, ორი ბინა უკვე გათამაშდა, მანქანებიც, სულ 10 ბინა, 10 Mercedes Benz, 1000 ცალი პლანშეტური კომპიუტერი, 1000 ცალი სმარტფონი, 100 LED ტელევიზორი, 100 სარეცხის მანქანა თამაშდება. თუ მომენტალურად მომგებიანი ბილეთი არ გხვდება, გეძლევა შანსი, რომ პირდაპირ ეთერში მოიგო პრიზი. რაც მალე ვიყიდით გაზქურას მით მეტი შანსი გვექნება. ეგებ ჩვენც გაგვიღიმოს ბედმა, ჩვენც დაგვეცეს ტუზი!...

– ნუ გჯერავს, ქალავ, ეგენი, ალბათ, ახლობლებ იქნებოდნენ – მთიულთ კილოზე უქცია მამამ.

– რაიდ არა? ამდენი პრიზის მამგები ყველა ახლობელ ხომ ვერ იქნების? – კილო აუწყო დედამაც.

– რაიდ არ? ან შენ არ მოგეძებნების 1000 ახლობელ? აბა დაფიქრდი იქ რამდენ თანამშრომელ არს..

– და მერე რაი? ან თუნდ ეგრეცა, მაშინ ჩვენც ადამ და ევას შვილები ვართ, სხვანიცა იმათ შთამომავალნი. ჩვენც ახლობელ ვყოფილვართ – სიტყვა მოუგო დედამ, – თანაც ტექნობუმს ყველაზე დაბალი ფასებიცა აქვს.

– და რომ ვერ მოიგო? – არ ეშვება მამა.

– რაი გინდ? მე ხომ ლატარიას არ ვყიდულობ? წაგებაში ხომ არ ვრჩები? ცდა ხომ ბედის მონახევრეა! მე ხომ მოგებას ველოდები და მოლოდინი სიხარულისა უკვე სიხარულია...

– და მაინცა? – ძირამდე ჩაჰყვა მამა.

– ვილაც ხომ მოიგებს? იმ მოგებაში ჩემი ციცქნა წილიც ხომ იდება. იმის სიხარულს გავიზიარებ... და კიდენა, მერე ტელევიზორის ფულის შეგროვებას დავიწყებ, მერე მაცივრისასა. ამდენ ცდაში ღმერთიც შემეწევა! – ხელი გაანძრიე და გეშველებაო“ – ხომ გაგიგია. შენნაირ ურწმუნოებსაც მოუგიათ თურმე!



ვახტანგ გურწკაია, გათამაშების გამარჯვებული:

– სოხუმელი გახლავართ, ახლა კი გასაგები მიზეზების გამო, მშობლიურ მიწაწყალს მოწყვეტილი ოჯახთან ერთად ფოთში ვცხოვრობ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ლტოლვილისთვის ასეთ საჩუქარს!.. ორი შვილი მყავს, ჩემო ბატონო, ხუთი შვილიშვილი და ყველა ისეთი ბედნიერია, ისეთი გახარებული, ჩვენი ლოცვა არ მოაკლდება არც ერთ ადამიანს, ვისაც იდეა გაუჩნდა, რომ საწყალი ხალხისთვის ასეთი საშუალება მიეცა. ერთი მტვერსასრუტი ვიყიდეთ, ერთი ბილეთი გვქონდა და აგერ, როგორი ავტომობილი მოვიგეთ. ძალიან გთხოვთ, თუ მიგიწვდებათ ხმა, „ტექნო ბუმის“ ყველა თანამშრომელს ჩვენი გახარებული ოჯახის სახელით უდიდესი მადლობა გადაუხადეთ!

**შეიძინე 50 ლარის ან მეტი ღირებულების ტექნიკა ტექნობუმში და გახდი გათამაშების მონაწილე**

მომხმარებელს ყოველ ნივთზე ეძლევა ერთი ბილეთი. თქვენ ან მომენტალურად მონაგები ნივთის მფლობელი გახდებით ან გადასაფხეკი საფარის ქვეშ აღმოაჩენთ წარწერას „მოიგე შანსი“. მეორე შემთხვევაში თქვენ უნდა შეავსოთ ბილეთის მოსახევი ნაწილი აუცილებელი ინფორმაციით და მოათავსოთ დოლურაში. აღნიშნული ბილეთი მონაწილეობს ყველა დარჩენილ გათამაშებაში.

პრიზები კი ნამდვილად შთამბეჭდავი და გრანდიოზულია. ყოველთვიურად თამაშდება ბინა და ავტომობილი, პლანშეტური კომპიუტერები და LED ტელევიზორები... ფინალურ გათამაშებას კი ნახევარმილიონიანი ფულადი ჯილდო დააგვირგვინებს.

გათამაშებათა ეს კასკადი მარტში დაიწყო. პირველი სატელევიზიო გათამაშება კი 3 მაისს შედგა. გამარჯვებულთა გეოგრაფიაც გათამაშებასავით შთამბეჭდავია: თბილისში ოროთახიანი ბინა ხელვაჩაურის მკვიდრმა დალი ბოლქვაძემ მოიგო, მერსედეს ბენცი ფოთელმა ვახტანგ ღურწკაიამ, პლანშეტური კომპიუტერი თბილისის მცხოვრებმა დავით ჩადუნელმა ხოლო iPhon5S ბათუმელმა დარეჯან ჭელიძემ მიიღეს. LED ტელევიზორი კი ვერ გადაეცა ნინო ნოზაძეს, რადგან მას მოგებული ბილეთის თავისი ნაწილი დაეკარგა. ასე რომ, გაუფრთხილდით თქვენს ბილეთებს – ქაღალდი ყოველთვის მაკულატურა როდია – ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი რეგლამენტის მიხედვით, კომპანიას არ აქვს უფლება მოგებული ნივთი ბილეთის გარეშე გასცეს.

7 ივნისს გამოვლინდნენ მეორე ეტაპის გამარჯვებულები: ბინის მფლობელი თერჯოლელი დავით ბუცხრიკიძეა, ხოლო საკუთარი Mercedes Benz - ით სეირნობა ნინა იაკოვლევას შეეძლება. გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი ტექნო ბუმის დილმის ცენტრში მიმდინარე თვის ბოლოს გაიმართება.

**ანა ვაჩნაძე**

2014, 19 ივნისი, №143

# კახა ძაგანია: „მადნეულს „ქართული ოცნება“ დაეპატრონა“

მარიკა მჭედლიშვილი



ვის აქვს კოალიცია „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ პანიკური შიში? რას მოიმოქმედებდა პირველ რიგში ბურჯანაძის ბლოკი? რა გადაინაწილეს „ოცნებამ“ და „ნაცმოძრაობამ“? დაუშვა თუ არა შეცდომები კოალიციამ? რატომ გაბათილდა თბილისში ამდენი ბიულეტენი? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კოალიცია „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენელ კახა ძაგანიას.

*– კოალიცია „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციისაგან“ ამ არჩევნებში მეტს ელოდნენ. თქვენ რას იტყვით?*

– ჩვენი კოალიციის მიზანი იყო, ბოლო მოგველო „ნაციონალური მოძრაობისათვის“. მაგრამ „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პოლიტიკური სიცოცხლე შეენარჩუნებინა ყოფილი მმართველი პარტიისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიდო ენერგეტიკის მინისტრმა და „ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა კახა კალაძემ.

*– ამას რას უკავშირებთ?*

– „ქართულ ოცნებას“ (პირველ რიგში, კალაძის ჯგუფს) და „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირად არ აწყობდა, რომ ჩვენს კოალიციას უკეთესი შედეგი ჰქონოდა. მათ არ უნდოდათ, რომ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ თუნდაც მეორე ადგილზე გასულიყო. ამას თავისი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, ამ ძალებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ აუცილებლად დავსვამდით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხს. რაც, მათ ინტერესებში არ შედის. მეორეც, ჩვენ აუცილებლად მოვუღებდით ბოლოს ფინანსებისა და ქონების გადანაწილების მოქმედ პრაქტიკას და ყველაფერს სახელმწიფოს დავუბრუნებდით.

*– ოცნებასა და „ნაციონალებს შორის ქონების გადანაწილება გაქვთ მხედველობაში?*

– რა თქმა უნდა. „მადნეულით“ დაწყებული, ჰესებით დამთავრებული, ყველაფერი გადანაწილებულია. „მადნეულში“ ჩაიჩოჩა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და დაწინაურდა „ოცნება.“ ლიცენზიები ისევ ოფშორებში დარეგისტრირებულ კომპანიებს აქვთ. იმავეს თქმა შეიძლება ჰიდროელექტროსადგურებზე. ჩვენ ამას შევეწინააღმდეგებოდით. როგორც ვთქვი, პირველ რიგში, დავსვამდით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხს. ასევე ქონების და ნილების პრობლემასაც მივხედავდით. ჩვენ მათსავით გადანაწილებას კი არ დავიწყებდით, არამედ, სახელმწიფოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მივიღებდით.

*– თქვენ კოალიციის ლიდერები ზოგადად სამართლიანობის დამყარებაზე ბევრს საუბრობენ...*

– დიახ. რა თქმა უნდა, ეს საკითხი აუცილებლად დადგებოდა დღის წესრიგში. მე შევეხე იმ თემებს, რომლების გამოც „ქართულ ოცნებასა“ და კალაძის ჯგუფს ძალიან ეშინოდა ჩვენი გამარჯვების. სამართლიანობის აღდგენის კუთხით, ცხადია, ბევრს შეექმნებოდა პრობლემები. დაზარალებული ხალხის გრძელი სიები გვაქვს. ეს ის ხალხია, ვისაც წინა რეჟიმმა, ანუ „ნაცმოძრაობამ“ ქონება ჩამოართვა. იმის მაგივრად, რომ ამ გამწარებული ხალხის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ, კარგად ვიცით, როგორ გადასცეს ერთ ლარად მიწა სიორიძის ჯგუფს. სიორიძეს „პენსიების შემყლაპავს“ ეძახიან. აი, ასეთი უსამართლობაა და ამ სიტუაციაში არ უნდათ ჩვენი კოალიციის გაძლიერება და პოლიტიკაში აქტიური ჩართვა.

*– ამომრჩევლების პასიურობას და პროტესტს რას მიაწერთ?*

– მართლაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ნიჰილიზმი აშკარა იყო. ამ ვითარებაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ქართულმა ოცნებამ“ ფინანსური და სტრუქტურული რესურსებით შეძლეს თავისი ამომრჩევლების მაქსიმალურად მიყვანა საარჩევნო უბნებზე. მათი ამომრჩევლთა მობილიზაცია მოხდა. ჩვენი ამომრჩეველი სახლში დარჩა. სტრუქტურულად ვერ მოვახერხეთ მათი უბნებზე მიყვანა. ესეც ხომ ფინანსებთან არის დაკავშირებული!

*– როცა ამომრჩეველს სურვილი და მოტივაცია აქვს, თავისი ფეხით მიდის არჩევნებზე...*

– გეთანხმებით. ამიტომ დავიწყე საუბარი ნიჰილიზმზე. ამომრჩეველი პასიური იყო. მაგრამ, „ნაცმოძრაობამ“ და „ქართულმა ოცნებამ“ იაქტიურა. მათ ხალხი ძალით, რესურსის გამოყენებით მოიყვანეს. ჩვენ ეს არ გაგვიკეთებია და მიუხედავად ყველაფრისა, მივიღეთ 11-პროცენტიანი შედეგი. ჩვენ თვითკრიტიკულებიც უნდა ვიყოთ და ვართ კიდეც ასეთები. ეტყობა, რალაც ჩვენი ბრალიც იყო.

*– თქვენ ისაუბრეთ იმაზე, რომ თქვენი კოალიციის გამარჯვებას ბევრი დაბრკოლება შეუქმნეს. რაზეა საუბარი?*

– ყველანი მომსწრენი გავხდით, თუ რა ხდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ტელევიზიები თავიდან სრულ იგნორირებას გვიკეთებდნენ. ინგა გრიგოლიამ გაუგონარი რამ თქვა „ოცნების“ ხალხი სადებატოდ მარტო „ნაციონალებთან“ ჯდებაო. მერე თითო არხმა ჩვენი მონაწილეობით თითო დებატი მოაწყო. ამომრჩეველმა ამით რა დასკვნა უნდა გამოიტანოს? დასკვნა გამოაქვთ ცოცხალი დებატის დროს. ამის დეფიციტი შეუქმნეს ჩვენს კოალიციას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლიცია ამ პროცესებში არ ერეოდა, როგორც სააკაშვილის დროს. სუს-თან დაკავშირებით ინფორმაციებს ვაზუსტებთ და მის მუშაობას მოგვიანებით შევაფასებთ.

*– არჩევნების დღესაც იყო დარღვევები...*

– დარღვევები იყო ოცნების მხრიდანაც და „ნაციონალების“ მხრიდანაც. ერთ უბანზე საჭმელთან ერთად შემოაპარეს ბიულეტენები. ზოგ უბანში დენი გათიშეს. თბილისში ბევრი ბიულეტენი იყო გაბათილებული. საინტერესო ისაა, რომ გაბათილებულ ბიულეტენებში შემოხაზული იყო ჩვენი კოალიციის ნომერი (3). ჩვენს ნომერთან ერთად სხვისიც იყო შემოხაზული. როგორც ჩანს, ბიულეტენის გასაფუჭებლად სამის გარდა, სხვა ნომრებსაც განზრახ ხაზავდნენ. ის ბიულეტენი, სადაც ორი ციფრია შემოხაზული, ბათილად ითვლება. წინ მეორე ტურია. სავარაუდოდ, ოთხ ოლქში გვექნება მეორე ტური. ჩვენი მოთხოვნაა ბიულეტენების გადათვლა. დარწმუნებული ვართ, რომ ბევრად მეტი პროცენტი ავიღეთ, ვიდრე დაგვიწერეს. ჩვენ არც ვადამდელი არჩევნების თემაზე ვამბობთ უარს. გავაგრძელებთ იმ საკითხის პედალირებას, რომელიც ეხება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიტიკაში ახალი ოპოზიციური ძალების გამოჩენას მივესალმები“



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ბოლო დღეების განმავლობაში საინფორმაციო პროპაგანდა დამახიჯებულად მიმდინარეობს და აქცენტი უმნიშვნელო საკითხებზე კეთდება. ამის შესახებ მან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

პრემიერის განცხადებით, ჯამურად მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნების შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს მასშტაბით, საკრებულოებში „ქართული ოცნება“ ლიდერობს.

„სამწუხაროდ, ამ დღეების განმავლობაში, ვხედავ, რომ აბსოლუტურად დამახინჯებულად მიმდინარეობს საინფორმაციო პროპაგანდა. მიზანმიმართულად სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე ხდება აქცენტის გაკეთება. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ჩვენი ვალია მოსახლეობას სიმართლე ვუთხრათ. პირველ რიგში, ჯამურად, მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნების შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს მასშტაბით, საკრებულოებში „ქართული ოცნება“ წარმოდგენილი იქნება 67,6%-ით. ეს არის შედეგი. დანარჩენი პარტიები და საინიციატივო ჯგუფები 20%-ს შეადგენს, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ 13%-ს“, + განაცხადა პრემიერმა.

როგორც ირაკლი ღრიბაშვილმა აღნიშნა, ხელისუფლება მრავალპარტიულ საკრებულოებს და თვითმმართველობის ორგანოებს მიესალმება.

მისივე თქმით, თითქმის ყველა რაიონში პარტიათა და საინიციატივო ჯგუფების კანდიდატები მეორე ადგილს იკავებენ. მათ კი, „ნაციონალური მოძრაობა“ მოსდევს.

„სხვადასხვა საკრებულოში 6 ოპოზიციური პოლიტიკური ძალა იქნება წარმოდგენილი, რაც არის ნამდვილად ქართული დემოკრატიის გამარჯვება. მაჟორიტარების სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ აბსოლუტური უპირატესობა აქვს „ქართულ ოცნებას“. ჩვენ ყველა საკრებულოში მოვიპოვეთ აბსოლუტური უმრავლესობა“-აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, მაჟორიტარების კუთხით ყველგან კარგად ჩანს ხალხის ნდობა-უნდობლობის საკითხი და კოალიციას სრული მხარდაჭერა აქვს.

„ქართული ოცნების“ ლიდერის თქმით, რომ არა ამომრჩევლის შედარებით ნაკლები აქტივობა, არსებული პროცენტული მაჩვენებელი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

მისი განცხადებით, მეორე ტურში „ქართულ ოცნებას“ 6 ოპოზიციური ძალა დაუპირისპირდება.

„მე ნამდვილად მივესალმები სხვა ოპოზიციური პარტიების გამოჩენას პოლიტიკურ არეალზე“ – განცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, შეგნებულად ვრცელდება დეზინფორმაცია, რათა საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ.

ნიუსპრესი

# ნანუაშვილი არჩევნების დღეს მომხდარი ინციდენტების გამოძიებას ითხოვს



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს მომხდარი ინციდენტების და წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი დარღვევების გამოძიებას ითხოვს.

„რამდენიმე ფაქტი არსებობდა. ამის შესახებ არაერთხელ განვაცხადე. მნიშვნელოვანია, რომ ყველა კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება ჩატარდეს. ნებისმიერი ძალადობის და ინციდენტის ფაქტი გამოძიებული, კონკრეტული პირები კი დასჯილი უნდა იყოს. საუბარია წინასაარჩევნო პერიოდზე და ასევე, არჩევნების დღეს მომხდარ ინციდენტებზე“, – განაცხადა ნანუაშვილმა.

ნიუსპრესი

# დავით უსუფაშვილი: „ეს იყო ისეთი შედეგი, რომელიც საქართველოში დიდი ხანია აღარ ყოფილა“

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის შეფასებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები იყო ისეთი, როგორიც საქართველოში დიდი ხანია აღარ ყოფილა.

როგორც მან არჩევნების შედეგების კომენტირებისას ბიუროს სხდომაზე განაცხადა, მსგავსი ტიპის თავისუფლება, როგორც პოლიტიკოსების, ისე ამომრჩევლის ნების გამოვლენის თვალსაზრისით, კარგა ხანია არ დაფიქსირებულა.

მისი თქმით, არჩევნები ჯერ არ დასრულებულა, რადგან 20-მდე რაიონსა და ქალაქში მეორე ტური გაიმართება და მოქალაქეები საკუთარ მერებსა და გამგებლებს მეორე ტურში გამოავლენენ.

„ეს არის ჩვენი საერთო წარმატება. საქართველოს პარლამენტს აქვს მნიშვნელოვანი წვლილი ამ საკითხში – ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებისა და საარჩევნო კანონის დახვეწის ფორმით, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ მუშაობა კვლავ ბევრი მიმართულებით გვჭირდება, რათა გავაძლიეროთ სახელმწიფოს ფუნდამენტი – თვითმმართველობა, როგორც სისტემის, ასევე, საარჩევნო მოდელების თვალსაზრისით“ – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 15 ივნისს გაიმართა. იმის გამო, რომ რვა თვითმმართველ ქალაქსა და 11 მუნიციპალიტეტში ვერც ერთი პარტიის კანდიდატმა კანონით დადგენილი 50%-იანი ბარიერი ვერ გადალახა, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს არჩევნების მეორე ტური ჩატარდება.

ნიუსპრესი

# თამარ ჟვანია: „რამდენიმე კანდიდატისათვის ხმების დაკლება მექანიკური შეცდომა იყო“

შორენა გონგლაძე

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გაკეთებულ იმ განცხადებას ეხმაურება, რომელშიც არჩევნებში მონაწილე რამდენიმე კანდიდატისთვის ხმების დაკლებაზეა საუბარი.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ გაკეთებულ განცხადებაშია აღნიშნული, არჩევნებზე დაფიქსირებულ დარღვევებზე საუბრობს. ორგანიზაციის ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატ ნიკა მელიას საბურთალოს №78-ე უბანზე ოქმში 131-ის ნაცვლად, 31 ხმა უწერია. ასევე, სამგორის №20-ე უბანზე 118 ხმის მაგივრად 18; ამავე ოლქის №12 უბანზე 111-ის ნაცვლად 11 ხმისა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ასევე საუბრობს „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატ ირმა ინაშვილისთვის ხმების დაკლების ფაქტებზეც.

ორგანიზაციის განცხადებით, ნაძალადევის №34 უბანზე კანდიდატ ირმა ინაშვილს 0 ხმა უწერია, როდესაც შესწორების ოქმის მიხედვით, მას 25 ხმა უნდა მიეღო, ხოლო ისნის მე-7 საარჩევნო უბანზე, ცესკოს ვებგვერდზე ატვირთულ შემაჯამებელ ოქმსა და დამკვირვებლისთვის ხმის დათვლის შემდეგ გადაცემულ ოქმს შორის აღმოჩნდა განსხვავებები. კერძოდ, ირმა ინაშვილს 50 ხმით ნაკლები ხმა აქვს მიღებული, რომელიც მომატებული აქვს კანდიდატ დიმიტრი ლორთქიფანიძეს. ორგანიზაცია ასევე ცესკოს შედეგების ვებგვერდზე ოქმის არასწორად შევსების ბევრ შემთხვევასაც აღნიშნავს. თუმცა ორგანიზაციაში არ გამორიცხავენ, რომ ეს ტექნიკური ხარვეზები იყო.



ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განცხადებით, დარღვევები, რომელზეც საერთაშორისო გამჭვირვალობა საუბრობს, მექანიკური ხარვეზი იყო.

– ძალიან მიხარია, რომ ასეთი კარგი დამკვირვებლები გვყავს და ასე კარგად აკვირდებიან თითოეულ ნიუანსს. ამ კონკრეტულ შემთხვევებში მექანიკური შეცდომა იყო. იყო ერთიანი დაკლებული, ოპერატორს შეეშალა შეყვანა ორ შემთხვევაში, ერთ შემთხვევაში კი, როდესაც ოქმი შეიყვანა, არ იყო შეყვანილი შესწორების ოქმი, რომლითაც სწორდებოდა სწორედ ეს ციფრი. არა მხოლოდ ბატონი მელიას შემთხვევაში, სხვა კანდიდატების შემთხვევაშიც შესაძლებელია, არსებობდეს ასეთი მექანიკური შეცდომები. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოპერატორები უკვე ამოწმებენ, კონკრეტული ოქმი მონაცემებში რამდენად სწორად არის შეყვანილი და, რა თქმა უნდა, საბოლოო მონაცემებში არც ერთი ასეთი მექანიკური ხარვეზი არ იქნება, – განაცხადა თამარ ჟვანიამ.

ამასთან ერთად, „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატი ნიკა მელია აცხადებს, რომ ასევე ბათილად ცნობილ ბიულეტენებთან დაკავშირებით დიდი კითხვის ნიშანი იბადება, რაც რეაგირების გარეშე არ დარჩება

– 138 ხმის ნაცვლად წაიშალა ერთიანი და 38 დაწერეს. ეს ჩვენ გავასაჩივრეთ და შესაბამისი რეაგირება მოხდება. გარდა ამისა, ძალიან დიდი კითხვის ნიშანი იბადება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიულეტენების უპრეცედენტო რაოდენობაა ბათილად ცნობილი, სადაც მოქალაქეების მიერ უმეტეს მათგანში მე ვიყავი შემოხაზული. ესეც, რა თქმა უნდა, გასაჩივრებული გვაქვს, – განაცხადა მელიამ.

**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:**
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

## სამართალი

### მოხუცებარი პოლიციელები სამსახურიდან დაითხოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მიმდინარე წლის 17 ივნისს სამინისტროს თანამშრომლებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შესახებ საპატრულო პოლიციიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა.

შსს-ს ინფორმაციით, გენერალური ინსპექციის დასკვნით, თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლები ირაკლი დარახველიძე, რევაზ კაკალაშვილი, გივი გამეზარდაშვილი და კადრების განკარგულებაში მყოფი დავით კანდელაკი დათხოვნილები არიან სამსახურიდან.

ოთხივე თანამშრომელს, „შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" (ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ) და „ვ" (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დისციპლიური სახდელი – სამსახურიდან დათხოვნა შეეფარდათ.

ნიუსპრესი

### შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავა

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის გამშვებ პუნქტ „ვალე"-ს თანამშრომლებმა ვარშავას ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1953 წელს დაბადებული იბრაჰიმ აკაია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, „ვალე"-ს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, იბრაჰიმ აკაია პოლონეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლით 2008 წლის 9 აპრილიდან იძებნებოდა. მას ბრალად ედება პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 91-1 მუხლით და 1997 წლის ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო აქტის 43.1 და მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას გულისხმობს. შსს-ს ინფორმაციით, 1999 წლის ოქტომბერში იბრაჰიმ აკაიამ თურქეთის ტერიტორიაზე, სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად, ბაზარზე დიდი ოდენობით ნარკოტიკი – რამდენიმე კგ ჰეროინი გაიტანა. შემდგომ მან აიძულა სხვა პირი, რომ აღნიშნული ნარკოტიკი წაეღო ჰოლანდიაში. ამ უკანასკნელმა ნარკოტიკები სლოვაკეთიდან ჰოლანდიაში გერმანიის გავლით სპეციალურად ადაპტირებული ავტომანქანით წაიღო. 1999 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან 24 დეკემბრამდე იბრაჰიმ აკაიამ სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად კრაკოვში, ვალცში, აგრეთვე თურქეთის რესპუბლიკისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე, ბაზარზე გაიტანა 20 კგ ჰეროინი. მან ნარკოტიკების თურქეთიდან ბულგარეთში ტრანსპორტირება სხვა პირთა მეშვეობით უზრუნველყო.

ჩადენილი ქმედებისთვის იბრაჰიმ აკაიას თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვის ვადით აქვს შეფარდებული. ამჟამად, დაკავებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორშია გადაყვანილი. მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

მედიანიუსი

### თაღლითობის ბრალდებით ორი პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის მერვე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითობის ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული ნინო კ. და 1988 წელს დაბადებული ანრი ჯ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნინო კ. სოციალური ქსელის საშუალებით, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მამაკაცებს შეხვედრას სთავაზობდა, „აჭარაბეთი"-ს საკუთარ ანგარიშზე მათ სხვადასხვა ოდენობის თანხას წინასწარ არიცხვინებდა და თანამზრახველ ანრი ჯ.-სთან ერთად ფულს თაღლითურად ითვისებდა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულებმა 14 სხვადასხვა მოქალაქის კუთვნილი 775 ლარის ოდენობის თანხა მიითვისეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების საცხოვრებელი ბინიდან პორტატიული კომპიუტერი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

### შსს-ს თანამშრომლები ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს შეხვდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს, პრაღის პროცესის მიზნობრივი ინიციატივის ორგანიზებით მიმდინარე არალეგალური მიგრაციის საპილოტე პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების (რუმინეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი) და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლები ეწვივნენ.

შეხვედრის მიზანს მიგრაციისა და რეადმისიის კუთხით საქართველოში არსებული ვითარების გაცნობა წარმოადგენს, კერძოდ, შსს-ს მიერ არალეგალური მიგრაციის კუთხით განხორციელებული რეფორმების და სამომავლო გეგმების გაცნობა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან გაფორმებული რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმებისა და მესამე ქვეყნებთან მოლაპარაკებების პროცესში არსებული რეადმისიის ხელშეკრულებების მიმოხილვა, რეადმისიისა და არალეგალური მიგრაციის კუთხით ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის სფეროების განხილვა.

შეხვედრას შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ადმინისტრაციის თანამშრომლები ესწრებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებს დაგეგმილი აქვთ შეხვედრები მიგრაციის სფეროში ჩართული შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ნიუსპრესი

# საქართველოს და სომხეთის შორის თანამშრომლობა გაღრმავდება

## რაზე მოილაპარაკეს მარგველაშვილმა და სარგსიანმა

ნათია ხურცილავა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით სომხეთის პრეზიდენტი იმყოფებოდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სერჟ სარგსიანს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი დახვდნენ.

პრეზიდენტის სასახლის ეზოში სომხეთის პრეზიდენტის დახვედრის საზეიმო ცერემონია გაიმართა, რომელსაც საქართველოში აკრედიტებული ელჩები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე, კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები და პრეზიდენტის მრჩევლები დაესწრნენ.

პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ გიორგი მარგველაშვილი სომეხ კოლეგას პირისპირ შეხვდა მოგვიანებით სასახლეში პრეზიდენტების შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობით გაგრძელდა. გიორგი მარგველაშვილსა და სერჟ სარგსიანს შორის შეხვედრა პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში ოფიციალური დახვედრის ცერემონიის შემდეგ დაიწყო.

სომხეთის პრეზიდენტმა შეხვედრები ასევე გამართა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

მარგველაშვილი აცხადებს, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთობები პოზიტიური დინამიკით იზრდება.

– მუდმივად გვაქვს ინტენსიური ურთიერთობები. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა ახალი ნაბიჯების გადადგმის წინ, როდესაც საქართველო 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულებაზე აწერს ხელს, ხოლო მეგობრები და მეზობლები სულ მალე საბაჟო კავშირში გაწევრიანდებიან. – განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტი აცხადებს, რომ მომენტში ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი საქართველო-სომხეთის ახლო თანამშრომლობას.

– ხაზი გავუსვათ იმას, რომ ამ ნაბიჯებს მხოლოდ პოზიტიური შედეგი ექნება ორივე ჩვენი ქვეყნის მომავლის თვალსაზრისით. ასევე, ხაზი გავუსვათ იმას, რომ სავაჭრო ურთიერთობები, რომელიც საქართველოს სომხეთთან აქვს, პოზიტიური დინამიკით ვითარდება. კიდევ უფრო მეტი იმპულსი მიეცემა მომავალში ამ ურთიერთობებს. – განაცხადა მარგველაშვილმა.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, საქართველოს და სომხეთს მჭიდრო თანამშრომლობა და ერთნაირი ხედვა სხვადასხვა მიმართულებებით გააჩნიათ, რისი გაღრმავების იმედიც მან კიდევ ერთხელ გამოთქვა.

– ჩვენ ორ ქვეყანას მუდმივად გვაქვს ინტენსიური ურთიერთობები. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა ახალი ნაბიჯების გადადგმის წინ, როდესაც საქართველო 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულებაზე მოაწერს ხელს, ხოლო ჩვენი მეზობლები და მეგობრები სულ



მალე განევრიანდებიან საბაჟო კავშირში, ამ მომენტში უაღრესად მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ ჩვენს უაღრესად ახლო თანამშრომლობას პარტნიორებთან, სომხეთის სახელმწიფოსთან, ხაზი გავუსვათ იმას, რომ ამ ნაბიჯებს ექნება მხოლოდ პოზიტიური შედეგი ორივე ჩვენი ქვეყნის მომავლის თვალსაზრისით და მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ სავაჭრო ურთიერთობებს, რომელიც საქართველოს აქვს სომხეთთან და ამ მიმართულებით გვაქვს პოზიტიური დინამიკა, უფრო მეტი იმპულსი მიეცემა მომავალში ამ ურთიერთობებს. მე მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგას, იმისთვის, რომ ყველა ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს ერთნაირი ხედვა, მე მინდა, აგრეთვე მადლობა ვუთხრა მას გამომდინარე იქედან, რომ სხვა მიმართულებებითაც, კულტურული, სამეცნიერო, განათლების მიმართულებით ჩვენ გვაქვს ერთნაირი ხედვა და ერთნაირად ვხედავთ მომავალს და ეს არის მხოლოდ თანამშრომლობისა და მომავალი ურთიერთობების გაღრმავების მომავალი. კიდევ ერთხელ მინდა, მივესალმო სომხეთის პრეზიდენტს საქართველოში და კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩვენს შორის ურთიერთობები ღრმავდება და პოზიტიური დინამიკით იზრდება. – განაცხადა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა სომეხ კოლეგას მადლობა გადაუხადა, იმისთვის რომ ამ და სხვადასხვა მიმართულებით – კულტურული, სამეცნიერო და განათლების სფეროს თვალსაზრისით, მათ ერთნაირი ხედვა აქვთ.

– ეს არის მხოლოდ თანამშრომლობისა და ერთიანი ურთიერთობების გაღრმავების მომავალი. – ამბობს მარგველაშვილი.

სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანი ქართველ კოლეგასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებსა და მისი განვითარების პერსპექტივაზე ისაუბრა.

– სტაბილურობა, რომელიც საკმაოდ მოწყვლადია სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ ძალისხმევით, რომელსაც მიმართავს სომხეთი და საქართველო. ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთის გადაწყვეტილებებს და პრიორიტეტს. მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს სტაბილურობა რეგიონში. მივესალმებით საქართველოს ძალისხმევას. როცა საქართველო და სომხეთი ძლიერნი არიან, ცალ-ცალკე და ერთად, ეს არის მნიშვნელოვანი გარანტია სტაბილურობისთვის. მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობა, ვაჭრობა, კომერციული ურთიერთობები, რომელმაც კონკრეტული შედეგები უკვე მოიტანა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები და ა.შ. – განაცხადა სერჟ სარგსიანმა.

როგორც სარგსიანმა აღნიშნა, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას საუბარი რეგიონში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებსაც შეეხო.

– ჩვენ ასევე შევეხეთ სომხეთის მონაწილეობას ინტეგრაციულ პროცესში, რომელიც მიმდინარეობს ევრაზიის რეგიონში. ჩვენ ქართველ კოლეგებს წარმოვუდგინეთ ის სამუშაო, რომელიც უკვე განხორციელდა სომხეთის მიერ ამ მიმართულებით და ვისაუბრეთ სამომავლო პროგრამების შესახებ. ამ კონტექსტში ჩვენ ყურადღება მივაპყარით ორმხრივ ურთიერთობას ეკონომიკის მიმართულებით. მე ღრმად მწამს, რომ საქართველო, რომელიც 27 ივნისს ხელს მოაწერს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას და გახდება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის განუყოფელი ნაწილი, ეს იქნება კიდევ ერთი შესაძლებლობა მათ შორის ჩვენი ქვეყნის მეწარმეებისთვის და გაიზრდება ინვესტიციები ჩვენს ქვეყნებს შორის. მეორე მხრივ, სომხეთის საბაჟო კავშირის წევრობა იქნება პერსპექტივა ქართველი მეწარმეებისთვის, ინვესტიციები განახორციელონ სომხეთში, ასევე, მათთვის, ვისაც სურს ახალი ბაზარი მოიპოვოს მთლიანად რუსეთის ფედერაციასა და ამ რეგიონში. – განაცხადა სერჟ სარგსიანმა.

პრეზიდენტებს შორის საუბარი რეგიონული უსაფრთხოების საკითხებსა და ჰუმანიტარულ სფეროებში თანამშრომლობასაც შეეხო.

# ვინ დაინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად

ნათია ხურცილავა

ცოტა ხნის წინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიყოლებით გადადგომის შესახებ განცხადებები დაწერეს პრეზიდენტის უკვე ყოფილმა მრჩეველმა საგარეო საკითხებში ვანო მაჭავარიანმა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილმა უფროსმა ლაშა აბაშიძემ. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განვითარებული მოვლენების შესახებ პრესასთან დეტალურად არც ერთ გადამდგარ თუ განთავისუფლებულ პირს არ უსაუბრია.

მიზეზებზე არც პრეზიდენტს არ გაუკეთებია კომენტარი. რეალურად რა გახდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განვითარებული მოვლენების მიზეზი უცნობია. ასევე უცნობია ვინ დაიკავებს ვაკანტურ თანამდებობებს.

გუშინ ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი შეიძლება გახდეს დავით პატარია, რომელიც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თანამდებობას იკავებს.

უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო მდივნის დავით პატარაიას პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ასე გამოეხმაურა:

– ვიცი, რომ ბრძანება დაწერილი არ არის, დანარჩენი ჩემთვის ცნობილი არ არის, იმიტომ, რომ ჩემი სულ სხვა სტრუქტურაა. შესაბამისად, პრეზიდენტი მიიღებს უახლოეს ხანებში გადაწყვეტილებას. – განაცხადა იმერლიშვილმა.

ჟურნალისტის კითხვაზე – განიხილება თუ არა პატარაიას კანდიდატურა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად, იმერლიშვილი პასუხობს, რომ ეს მისთვის ცნობილი არ არის.

– არ ვიცი, დავით პატარაია პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანია, რომელიც უაღრესად კვალიფიციური იურისტია. ეს ექსკლუზიურად პრეზიდენტის გადასაწყვეტია. – აღნიშნავს იმერლიშვილი.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# აშშ-ს სპეცრაზმმა ლიბიაში „ცსს“-ს ბაზაზე თავდასხმის ორგანიზატორი დააპატიმრა

აშშ-ს შეიარაღებული ძალების სპეცრაზმმა საიდუმლო ოპერაციის შედეგად, ლიბიის ქალაქ ბენღაზში, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ბაზაზე თავდასხმის ერთ-ერთი ორგანიზატორი დააკავა. აღნიშნული პიროვნება დიპლომატიური მისიის სტატუსის საფარქვეშ მოქმედებდა.



როგორც იტყობინებიან, 15 ივნისს, ბენღაზთან ახლოს აჰმედ აბუ ჰათალა დააკავეს. კირბიმ ის დაახასიათა როგორც „წამყვანი ფიგურა 2012 წლის სექტემბერში, ბენღაზში ამერიკულ ობიექტებზე თავდასხმაში“. კირბი აზუსტებს, რომ ამერიკელ სამხედროებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ „აშშ-ს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც“. რამდენადაც ცნობილია, საუბარია აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს ოპერ– თანამშრომლებზე.

კირბის მონაცემებით, „ოპერაციის შედეგად მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი არ არის. ამავე მონაცემებით, ამჟამად აბუ ჰათალა აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ერთ-ერთ ხომალდზე ჰყავთ, ზუსტად რომელზეა, არ განმარტავენ. მოელიან, რომ მალე ის ვაშინგტონის სასამართლოს წინაშე წარდგება. მედიის ცნობით, აბუ ჰათალა ამ დროისთვის დედაქალაქისკენ მიჰყავთ.

ამერიკული მედიის ინფორმაციით, ოპერაციის დაგეგმვა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. აბუ ჰათალას დაუსწრებელი ბრალდება გასულ წელს წაუყენეს, თუმცა ბენღაზში ტერორისტული თავდასხმის არც ერთი მონაწილე დღემდე არ დაეკავებინათ.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, ჰათალას დაკავებას გამოეხმაურა ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელმაც მისი აყვანის გამო ამერიკის სპეცსამსახურები შეაქო.

დემოკრატი ობამას ადმინისტრაციას, რესპუბლიკური ოპოზიცია ბენღაზის მოვლენების დროს მოქმედებისთვის მკაცრად აკრიტიკებს.

„ჩვენ ძალისხმევას გავაგრძელებთ, რომ ბენღაზის გამოხდომაში პასუხისმგებელი პირები სასამართლოს გადავცეთ. ჩვენ ასევე ლიბიელი ხალხის მხარდაჭერას ვაგრძელებთ“, – ამბობს პრეზიდენტი ობამა.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ობიექტს ბენღაზში 2012 წლის 11-12 სექტემბერს თავს დაესხნენ. მაშინ ოთხი ამერიკის მოქალაქე დაიღუპა, მათ შორის ლიბიაში ქვეყნის ელჩი კრისტოფერ სტივენსი.

# ჰილარი კლინტონი: „ერაყის ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა“

ერაყის ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როდესაც აშშ-ს ძირითადი საომარი ძალების გამოყვანის შემდეგ, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივ საფუძველზე ამერიკული სამხედრო კონტინგენტის დატოვებას არ დათანხმდა, ამის შესახებ ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა „სიენენთან“ ინტერვიუში განაცხადა.

„პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უმცროსმა, ჯერ კიდევ ბარაკ ობამას მიერ ამ პოსტის დაკავებამდე, გადაწყვეტილება მიიღო, რომ ჩვენ ერაყს 2012 წელს დავტოვებდით. აშშ-ს სამხედრო ოპერაცია უნდა დაესრულებინა, ერაყის მთვრობას რომ ჩვენი ჯარები იმავე პირობებით დაეტოვებინა, რა საფუძველზეც ისინი სხვა ქვეყნებშია განლაგებული. ეს პირობები სამხედრო ძალების სტატუსზე შეთანხმებით რეგულირდება“.

„ამასთან დაკავშირებით, ბევრი ძალისხმევა მქონდა დამედგინა, რის შეთავაზება შეგვეძლო ერაყის ხელისუფლებისთვის. შემდეგ ჩვენ ეს წინადადება შევთავაზეთ, მაგრამ პრემიერ მინისტრმა ნური ალ-მალიქიმ მას ხელი არ მოაწერა. დღეს ბევრი ამბობს, რომ ჩვენ ის უნდა გვეიძულებინა, მაგრამ მსგავსი საქმე ასე არ კეთდება“.



„ახლა ჩანს, რომ ეს ერაყის მთავრობის შეცდომა იყო, დღეს ბევრი ფიქრობს ამის შესახებ, მათ შორის ავღანეთში“, – ხაზს უსვამს კლინტონი.

მისივე თქმით, ერაყში სიტუაციის დარეგულირებისთვის, „აუცილებელია, ალ მალიქის მთავრობა ყველა საზოგადოებრივი ძალის ინტერესებს წარმოადგენდეს. და თუკი ალ მალიქი ასეთი ლიდერი არ არის, ვისაც ამის მიღწევა ძალუძს, მაშინ ერაყელი ხალხი სერიოზულად უნდა დაფიქრდეს, როგორი ლიდერი სჭირდება“, – მიიჩნევს კლინტონი.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებულმა მებრძოლებმა ერაყის ქალაქების დაკავება დაიწყეს.

ბოლო ინფორმაციით, სუნიტმა შეიარაღებულმა მებრძოლებმა ნავთობის უმსხვილეს ქარხანაზე მიიტანეს იერიში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ბაიჯიში მდებარეობს.

ერაყის უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლის თქმით, თავდასხმა ქარხნის სამი შესასვლელიდან, ორ შესასვლელზე მოხდა.

ამერიკა მზად არის, ერაყის ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში, ისლამისტების წინააღმდეგ საჰაერო იერიში განახორციელოს. ამერიკასთან თანამშრომლობისათვის ერაყის მეზობელი ირანიც არის მზად.

ავღანეთსაც ამერიკასთან სტრატეგიული შეთანხმება გაფორმებული ამ დრომდე არ აქვს. ამ შეთანხმებით 2014 წლის შემდეგ, ქვეყანაში ამერიკელი სამხედროების ყოფნა განისაზღვრება. ჰამიდ ყარზაიმ ადრე განაცხადა, რომ ამ შეთანხმებას მისი შემცვლელი მოაწერს ხელს. თუ შეთანხმებას ხელი არ მოეწერა, ერაყის მსგავსად, სამხედრო ოპერაციის დასრულების შემდეგ, ავღანეთში ამერიკის ჯარები აღარ დარჩებიან.

ავღანეთის მოქმედმა პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ „ბი-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მის ქვეყანაში „ალ ქაიდას“ დაბრუნებას შეუძლებლად მიიჩნევს. ყარზაი დარწმუნებულია, რომ ერაყის შემთხვევა, ავღანეთში არ განმეორდება.

# მალაიზიის სანაპიროსთან გემის ჩაძირვის შედეგად 60-ზე მეტი მიგრანტი დაიღუპა

მალაიზიის დასავლეთ სანაპიროსთან, ხისგან გაკეთებული გემის ჩაძირვის შედეგად, 66 ინდონეზიელი არალეგალი მიგრანტი დაიღუპა. ამის შესახებ მალაიზიის სამაშველო სამსახურის წარმომდგენლებმა განაცხადეს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, საზღვაო ნაოსნობისთვის შეუფერებელი ხომალდის გემბანზე 97 ადამიანი იმყოფებოდა. მათგან მხოლოდ 31-ის გადარჩენა მოხერხდა, ყველა ინდონეზიის მოქალაქეა.

გემბანზე ასევე ქალები და ბავშვები იმყოფებოდნენ. გემი მალაიზიის ქალაქ ბანტინგიდან სამ კილომეტრში, მალაქსის სრუტეში ჩაიძირა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევები მრავალრიცხოვანი მსხვერპლით ხშირად ხდება – მათი მიზეზია, როგორც გემებისა და ნავების ცურვისთვის შეუფერებლობა, ასევე მათი გადავსებულობა.

მაგალითად, ათი დღის წინ 62 ადამიანი დაიღუპა გემის ჩაძირვის შედეგად, როდესაც მიგრანტები სომალისა და ეთიოპიის ნაპირებიდან



იემენისკენ მიემართებოდნენ. გაეროს მონაცემებით, ეს მიმდინარე წელს ამ რეგიონში ყველაზე მასშტაბური ტრაგედიაა.

# წელის გარშემოწერილობა — სიცოცხლის ხანგრძლივობის გადამწყვეტი მაჩვენებელია



სხეულის მასის ინდექსის მიხედვით, თუკი ადამიანს მთლიანობაში ნორმალური წონა, მაგრამ წელის დიდი მოცულობა აქვს, მას ნებისმიერ შემთხვევაში სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება ელის. ასევე, სიკვდილის რისკი მატულობს გულის ავადმყოფობის, რესპირატორული დაავადებების, კიბოს შედეგად, მიუხედავად წონისა, მოწევისა, ალკოჰოლის მოხმარებისა და ფიზიკური აქტივობისა, წერს „დეილი მეილი“.

მაიოს კლინიკის სპეციალისტების თქმით, ეს დასკვნა 600 ათასი ადამიანის, 11 სხვადასხვა კვლევის მონაცემთა გაანალიზების შემდეგ გააკეთეს. მაგალითად, მამაკაცებში წელის მინიმუმ 100 სანტიმეტრის გარშემოწერილობით სიკვდილიანობა 50%-ით იყო გაზრდილი მათთან შედარებით, რომლებსაც წელი 89 სანტიმეტრზე ნაკლები ჰქონდათ. 40 წლის შემდეგ, ეს დაახლოებით სამი წლით სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას უტოლდებოდა.

89 და მეტი სანტიმეტრის წელის მქონე ქალებში, ნაადრევი გარდაცვალების რისკი დაახლოებით 80%-იზრდებოდა იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც 68,6 სანტიმეტრი და უფრო ნაკლები გარშემოწერილობის წელი აქვთ. ეს დაახლოებით 5 წლის სიცოცხლეს ართმევდა. გარშემოწერილობის ყოველი 5 სანტიმეტრით ზრდისას, მამაკაცებში სიკვდილის რისკი 7%-ით იზრდებოდა და სადღაც 9%-ით ქალებში: და ეს სხეულის ნორმალური ინდექსის მქონე ადამიანებსაც ეხებოდა.

საერთოდ, სხეულის ინდექსი ბევრს რამეს არ გვეუბნება, ის ხომ კუნთოვანი და ცხიმოვანი ქსოვილის თანაფარდობაზე არაფერს გვეუბნება, იმის შესახებ, თუ დიდწილად სად არის ჩალაგებული ცხიმოვანი ქსოვილი. ამასობაში, ცნობილია: წელის მიდამოებში ცხიმის დაგროვება დაკავშირებულია მეტაბოლურ დარღვევებთან, დიაბეტთან, გულის ავადმყოფობებთან. ამიტომ, პაციენტის სტატუსის შეფასებისას წელის გარშემოწერილობაც გათვალისწინებული უნდა იყოს, წერს „დეილი მეილი“.

მოამზადა გურა მამულაშვილმა

ქრონიკა

გულიკო ბალაძე

# როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა ქვეყანაში

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასა. ამას წინ უძღოდა სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მონაცემების გამოქვეყნება. ამ საკითხს მიუძღვნა ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ დავით ჯანელიძემ პრესკონფერენცია.

– 2014 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 14%-ით გაიზარდა და 3 441 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი 19%-ით გაიზარდა და 933 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2014 იანვარ-მაისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16%-ით გაიზარდა და 4 438 მლნ დოლარი შეადგინა. ექსპორტი 17%-ით გაიზარდა და 1 175 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 15%-ით არის გაზრდილი და 3 322 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, – განაცხადა დავით ჯანელიძემ.

დავით ჯანელიძემ ისაუბრა რეგიონალურ ვაჭრობაზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის, საქართველოსა და დსთ-ის ქვეყნებთან და სხვა ქვეყნებთან.

– 2014 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 14%-ით გაიზარდა, 897 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26% დაიკავა. ექსპორტი 50%-ით გაიზარდა, 194 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 31% დაიკავა.

იმპორტი 7%-ით გაიზარდა, 703 აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა.

2014 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ის ქვეყნებთან 18%-ით გაიზარდა, 1 179 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 34% დაიკავა. ექსპორტი 19%-ით გაიზარდა, 510 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 55% დაიკავა.

იმპორტი 17%-ით გაიზარდა, 659 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი იმპორტის 26% დაიკავა.

საქართველოს სხვა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა (ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნების გარდა) განისაზღვრა 79 ქვეყნით. სულ ამ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა 12%-ით გაიზარდა, 1 377 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 40% დაიკავა. ექსპორტი გაიზარდა 1%-ით, 228,7 მლნ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 24,5% დაიკავა; იმპორტი 15%-ით გაიზარდა, 1 145 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 45,6% დაიკავა.

დავით ჯანელიძის განცხადებით, განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

– 2014 წლის პირველ კვარტალში საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 260 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 15%-ით აღემატება 2013 წლის პირველი კვარტლის, ხოლო 20%-ით 2013 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებს. აღნიშნულ პერიოდში ინვესტიციების ყველაზე მაღალი წილი საფინანსო სექტორზე მოდის (მთლიანი ინვესტიციების 34%), შემდეგ პოზიციაზეა დამამუშავებელი მრეწველობა – 18%, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 17%, სამთომოპოვებითი მრეწველობა – 6%, უძრავი ქონება – 5%, მშენებლობა – 2%, ენერგეტიკა – 2%.

2014 წლის პირველ კვარტალში უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს შორისაა, ნიდერლანდები – 28%, აზერბაიჯანი – 18%, გაერთიანებული სამეფო – 13%, თურქეთი – 12%, რუსეთი – 8%, საუდის არაბეთი – 7%, აშშ – 7%.

ეკონომიკის მოადგილე დავით ჯანელიძემ განაცხადა, რომ 2014 წლის პირველი კვარტალიც მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა.

– მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ იანვარში 2,8%, თებერვალში – 5,6%, მარტში – 8,3% დაფიქსირდა, ხოლო იანვარ-მარტის საშუალო მაჩვენებელმა 7,4% შეადგინა. ამ პერიოდში, 2013 წლის I კვარტალთან შედარებით, განსაკუთრებით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობა (ძირითადად ალკოჰოლური და არაალკოჰოლური) პროდუქტების წარმოება და მშენებლობა, სადაც ორნიშნა ზრდა აღინიშნა.

ასევე გაზრდილია სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი. ამ პერიოდში შემცირებულია სამთომოპოვებითი მრეწველობა (ნახშირის, კვარციტის მადნისა და ნავთობის მოპოვება), რომლის წილიც მთლიან შიდა პროდუქტში დიდი არ არის (0,9% – 2013 წელს).

დავით ჯანელიძემ ისაუბრა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, მხედველობისა და სმენის დაქვეითების, სამწვერა-ნერვის ანთების, რადიკულიტის, სახსრების, კუნთების დაავადებების, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება სწრაფად, წამლების, აპარატურის და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. თუ მკურნალობისთვის არ ხართ მზად, არ დაგვიკავშირდეთ. ტელ: 599-97-85-46. ბ-ნი ლევანი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში 2000კვ.მ საკარმიდამო მიწის ხეხილიანი, დამუშავებული ნაკვეთი, სარწყავი და სასმელი წყლით. 1 კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 790-903296.

● ვმკურნალობთ მცენარეული პრეპარატებით: გახდომა თვეში 8-20 კგ-ით, 3-ჯერადი კვებით, გასუქება 5 კგ-ით თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე. ტელ: 592-10-58-22 ნონა.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იყიდება 3 ოთახიანი ბინა, ძვ. რემონტით, მე-8 პოლკის დას. (სამგორისა და ვარკეთილის მეტროებს შორის), ფასი 50000. ტელ.: 275 73 99; 591 92 93 68 თამარი

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

# ქართული გუნდები ევროტურნირებისთვის ემზადებიან

ჩემპიონთა ლიგის და ევროპის ლიგის კენჭისყრამდე სულ ცოტა დრო დარჩა. 23 ივნისს უნდა გაირკვეს ქართულ გუნდებთა მეტოქეები. მანამდე გვინდა დეტალურად კიდევ ერთხელ გითხრათ, თუ ვინ როგორ ემზადება და რა შევსებები მიიღეს.

თბილისის „დინამო“: თბილისელები თურქეთში ემზადებიან და მეტად ნაყოფიერადაც. დავიწყოთ იმით, რომ აქვთ სერიოზული შევსება 32 წლის ჩეხი მარიო ლიჩაკასა და 33 წლის უკრაინელი იგორ შერშუნის სახით. ჩეხს პრემიერლიგასა და საფრანგეთისა ლიგა 1-ში თამაშის გამოცდილება აქვს, უკრაინელს – თავისი ქვეყნის ნაკრებში დ არის უეფას თასის (ევროპის ლიგის) მფლობელი მოსკოვის ცსკას შემადგენლობაში.

დინამოელებმა საკონტროლო მატჩის გამართეს – თურქმენეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანს შაგადამს დაუპირისპირდნენ და მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხეს. ერთადერთი გოლი დინამოს ახალწვეულის გიორგი ჩირგაძის ანგარიშზეა. ალსანიშნავია რომ თურქმენეთის ჩემპიონატი უკვე მიმდინარეობს და შესაბამისად ლურჯ-თეთრების მოწინაალმდეგე გაცილებით კარგ ფორმაში იყო, ვიდრე დინამოელები, რომლებმაც მატჩამდე საკმაოდ მომქანცველი ვარჯიში გამართეს.

„ზესტაფონი“: ყველაზე მეტი სიახლე აქ არის. მართალია ზემო იმერელთა სპარინგი გრანდიოზული არ იყო და თანაქალაქელი „მარგვეთი 2006“ დიდი ანგარიშით, 9:0 დაამარცხეს, მაგრამ შევსება მიიღეს სერიოზული.

ჯაბა დვალი და ნიკოლოზ გელაშვილი – ეს ტანდემი ისტორიაში საუკეთესო „ზესტაფონის“ დამრტყმელი ძალა იყო და ახლაც ერთად მოიყრიან თავს. დვალი რამდენიმე დღის წინ დაუბრუნდა გუნდს თბილისის „დინამოდან“, გელაშვილი კი გუშინ შეუერთდა აგდამის „ყარაბახის“ დატოვების შემდეგ.

„ზესტაფონს“ კოლუმბიელი ცენტრალური მცველი, 24 წლის ედუარ ზეა ჩავესი და 20 წლის ნიგერიელი ფორვარდი ჯონ ჯერემიაც შეუერთდნენ. კოლუმბიელისთვის საქართველო უცხოა და საერთოდაც პირველი წარმომადგენელია თავის ქვეყნიდან, ჯერემია კი, ქართველ გულშემატკივრებს „გაგრიდან“ ახსოვს.

არის კიდევ რამდენიმე მატება ბექა ტუღუშის სახით – ეს ფეხბურთელიც უფრო საქართველოს ჩემპიონატიდან ახსოვს გულშემატკივარს.

„ზესტაფონი“ ჯერ საშინაო ბაზაზე ვარჯიშობს, მაგრამ შეკრებას ავსტრიაში გაივლის. ამის შესახებ უკრაინული კლუბების ვებგვერდები გვამცნობენ.

კიევის „დინამოს“ ვებგვერდზე მითითებულია, რომ უკრაინელები 26 ივნისს ეთამაშებიან იმერულ გუნდს. „ზესტაფონი“ ასევე სავარაუდო მეტოქეთა სიაშია დონეცკის „შახტარის“ ვებგვერდზე.

ბოლნისის სიონი: ჯერჯერობით, ფეხბურთელების მატებასთან დაკავშირებით ხმა არ ისმის. ერთადერთი შენაძენი ვიტჯორჯიელი გურამ გურეშიძეა. რაც ბოლნისელებზე შეგვიძლია ვთქვათ, საკონტროლო მატჩია, რომლიც წვემოქართლელებმა სომხეთის ჩემპიონატის წარმომადგენელ „მიკასთან“ გამართეს და ფრედ 0:0 ითამაშეს.

საჩხერის „ჩიხურა“: საჩხერელები თურქეთში იმყოფებიან და ორი სპარინგიც გამართეს. მათი მეტოქე საქარიის რეგიონის ნაკრები იყო რომელთანაც გუნდმა დამაჯერებელი ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა. გოლები ოდიკაძემ, მუმლაძემ და ჩიკვაიძემ გაიტანეს. შემდეგ კი, ბაქოს „ნეფთჩის“ მოუგეს 3:2. ქართველთაგან თავი ოდიკაძემ, რეხვიაშვილმა და მუმლაძემ გამოიჩინეს.

# დიდი ათიანი



ინგლისელები მას „გენერალს“ უწოდებდნენ, მადრიდის „რეალმა“ მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა. პრესა და გულშემატკივარი მის მიმართ ეპითეტებს არ იშურებდა: ჯადოქარი, პროფესორი, ფეხბურთის მაესტრო... და ეს ყველაფერი დავით ყიფიანს ეკუთვნის. „ქართველი თავადის შთამომავალი დავით ყიფიანი საფეხბურთო მოედანზეც თავადივით გამოიყურება – ასეც საუბრობდნენ მასზე...

საქართველოსთვის ყიფიანი, გაზვიადების გარეშე, ისეთივეა, როგორც პელე ბრაზილიისთვის, კრუიფი ჰოლანდიისთვის, მარადონა არგენტინისთვის და ბოლოს, იაშინი რუსეთისთვის.

ყიფიანის დაბადების თარიღად 18 ნოემბერია აღნიშნული, თუმცა ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ის გუშინდელ დღეს, 18 ივნისს დაიბადა და 63 წლის გახდებოდა....

დაამთავრა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა. თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივსა“ (1970) და „დინამოში“ (1968-69, 1971-82).

1978 წელი – სსრკ-ის ჩემპიონი, 1976, 1979 წლებში – სსრკ-ის თასის მფლობელი, 1981 წელი – უეფას თასების მფლობელთა თასის მფლობელი.

1977 წელი – ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი. სსრკ-ის ნაკრებში 19 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 7 გოლის გატანა მოახერხა. სსრკ-ის ოლიმპიურ ნაკრებში კი 2 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 2 გოლი გაიტანა.

ყიფიანს იურისტის დიპლომი ჰქონდა და მოახერხა კიდეც პროკურორად მუშაობა, კარგად საუბრობდა ინგლისურად და საერთოდ მას ინტელიგენტს უწოდებდნენ.

დიდი ათიანი ტრაგიკულად დაიღუპა 2001 წლის 17 სექტემბერს.

# ორი მედალი პოლონეთიდან

პოლონეთში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის პირველ დღეს ქართველმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ორი მედლის მოპოვება შეძლეს – ერთი ოქროსი და ერთი ვერცხლის.

ჩემპიონი 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტარზან მაისურაძე გახდა, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში 2:1 დაამარცხა უკრაინელი ოლეკსეი შერბაკი.

საჩემპიონო გზას მაისურაძე ასე შეუუყვა: ჯერ 2 წუთში 12:0 გაანადგურა ბრიტანელი თომას ჰავთორნი, მეოთხედფინალში კი ბერძენ გკოტსი არ გამოუცხადდა. სამაგიეროდ, ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ხაჯიმურად ომაროვს სძლია.

60 კილოგრამის ფინალში გიორგი ბრეგვაძე რუს იმამ აჯიევს დაეჭიდა და მის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო – 0:10.

მანამდე გიორგი ბრეგვაძემ მერვედფინალში ბერძენი პოტიოს პაპადაკისი დაამარცხა სუფთად, მეოთხედფინალში 12:4 გაანადგურა გერმანელი დავიდ ვოლნი, ხოლო ნახევარფინალში უკრაინელ ივან ბელეიჩუკს მოუგო 11:7.

ალექსანდრე კილაძემ (50) ბულგარელი მილენ იანკოვი დაამარცხა, მეოთხედფინალში კი, მოლდაველ ივან ზამფიროვთან 2:12 დამარცხდა. კილაძემ რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც გერმანელ ვიქტორ ლიზენთან დამარცხდა და მედალზე ფიქრს დაემშვიდობა.

ნოდარი კურტანიძემ ბულგარელ სტეფან გიორგიევს სძლია 6:2, მერვედფინალში ლიტველი ჯაბუკაუსკასს 10:0 მოუგო, ხოლო ნახევარფინალში 1:6 წააგო თურქ იუსუფ ზეიბეკთან. რადგან თურქი ფინალში ვერ გავიდა, კურტანიძემ მედალზე ფიქრი ნაადრევად დაასრულა.

96 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი, უკრაინის სახელით მოჭიდავე მურაზ მჭედლიძემ, ფინალში რუსი ზაინულა ყურბანოვი დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

# უგოლო ბრაზილია, სახეშეცვლილი ბელგია და ჩამწარებული დღეობა

**ბრაზილია – მექსიკა 0:0**

**ფორტალეზა.** კასტელანი

**ბრაზილია:** ჟულიო სესარი, დანი ალვესი, ტიაგო სილვა, დავიდ ლუისი, მარსელო, პაულინიო, ოსკარი (ვილიანი 84), რამირესი (ბერნარდი 46), ლუის გუსტავო, ფრედი (ჟო 68), ნეიმარი

**მექსიკა:** ოჩოა, როდრიგესი, ლაიუნი, მორენო, გუარდადო, აგილარი, ერერა (ფაბიანი 76), ვასკესი, დოს სანტოსი (ხიმენესი 84), პერალტა (ჩიჩარიტო 74)



მეორე ტურის პირველსავე მატჩი უგოლო ფრე დაფიქსირდა. ბრაზილიელებმა ვერ შეძლეს მექსიკელთა წინააღმდეგობის გატეხვა და ფეხი დაუცდათ. თუმცა, ეს ფატალურად არ მოჩანს, რადგან ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი კამერუნის ნაკრებთან დარჩათ.

მატჩის მსვლელობისას, სკოლარის შეგირდებს ბურთი უფრო ეჭირათ, მაგრამ მექსიკას დაცვაში მკაცრად ეჭირა თავი და მეტოქის წნეხს ხშირად იოლად უმკლავდებოდა. მექსიკელები უტევდნენ იშვიათად და ფეხბურთელთა ფიქსირებული რაოდენობით. მათი შეტევები ძირითადად შორეული დარტყმებით მთავრდებოდა, რომელიც კარს ხშირად ცდებოდა, მაგრამ ახლოს ჩაუქროლებდა ძელს ან ხარიხას. აი, მექსიკელთა მეკარეს, გილერმო ოჩოას კი რამდენჯერმე მოუხდა რთული ბურთის მოგერიება.

სკოლარის სამივე ცვლილება შეტევაზე იყო ორიენტირებული და სელესაომაც“ ბოლო წუთებში მეტოქე მისსავე საჯარიმოს მიაჯაჭვა, მაგრამ ამაოდ.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ რამდენიმე საგოლე მომენტის მიუხედავად, ბრაზილიამ თავი ვერ მოგვაწონა და ასეთი თამაშით გაუჭირდება ტიტულზე ფიქრი. თუმცა, ჯერ ყველაფერი წინ არის, არავინ იცის ვინ რა ძალებს ინახავს და ვინ როდის გაიხსნება.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – გილერმო ოჩოა***

ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როდესაც ამბობენ რომ მეკარე ნახევარი გუნდია. ოჩოას სეივებმა მოუტანა ქულა მექსიკელებს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ნეიმარის თავური და ოჩოას ფანტასტიკური სეივი. არანაკლებ კარგად ითამაშა ოჩოამ პაულინიოსა და ტიაგო სილვას მომენტებისას. გამოსვლებზეც შესანიშნავი იყო და გააჩინა გითხვა რა უნდა ასეთ მეკარეს საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე ლიგის გუნდში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 2.მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| 3.კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 4.ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

**ბელგია–ალჟირი 2:1**

**ბელუ ორიზონტე.** ესტადიო მინეირაო

0:1 ფეგული (25 პენ.), 1:1 ფელაინი (70.), 2:1 მერტენსი (80)

**ბელგია:** კურტუა, ალდერვეირელდი, კომპანი, ვერტონგენი, ვიტსელი, დე ბრუინე, ლუკაკუ (ორიგი, 58), აზარი, ვან ბუიტენი, დემბელე (ფელაინი, 65), ჩადლი (მერტენსი, 46).

**ალჟირი:** რაისი, ბუგერა, გულამი, ჰალიჩე, ფეგული, მეჯანი (გილასი, 84), ბენტალები, სუდანი (სლიმანი, 66), ტაიდერი, მაჰრეზი (ლასენი, 71), მოსტეფა

ორი განსხვავებული ტაიმი. შესვენებამდე „წითელი ეშმაკები“ ფავორიტობის სტატუსს აშკარად ვერ ამართლებდნენ. ალჟირი მეორე ნომრად“ კი თამაშობდა, მაგრამ რეგულარულად აწარმოებდა კონტრშეტევებს, რომელთაგან ერთი წარმატებული გამოდგა.

მეორე ტაიმში მარკ ვილმოტსმა ცვლილებებით სცადა მატჩის შეცვლა და გამოუვიდა კიდეც. დრის მერტენსი, დივოკ ორიგი და მარუან ფელაინი ის ფეხბურთელები გამოდგნენ, რომლებმაც ბელგიას ის პეწი შემატეს, რითიც ეს გუნდი იწონებს თავს და რასაც მათგან დასაწყისიდანვე ველოდით. გატანილმა გოლმა ბელგია კიდევ უფრო გახსნა და გამარჯვებასაც მიაღწია.

ალჟირმა დაცვაში დისციპლინირებული თამაში კი აჩვენა, მაგრამ ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ საჭიროების ჟამს „პირველ ნომრად“ თამაში არ შეუძლია.

ალჟირელების კონტრშეტევაზე გითხარით და სოფინ ფეგულიმ თავი 25-ე წუთზე გამოიჩინა, როდესაც ვერტონგენს ყოვლად უაზრო წესების დარღვევა არ აპატია და თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა. ამ გოლით „უდაბნოს მელიებმა შეწყვიტეს უგოლო „შავი სერია – 506 წუთი. არადა, კოლუმბიელთა ანტირეკორდამდე სულ რალაც 12 წუთი იყო დარჩენილი.

ბელგიელებმა 70-ე წუთზე გატეხეს მეტოქე, როდესაც დე ბრუინეს პასით შეცვლაზე შესულმა ფელაინიმ ჩინებული თავური შეაგდო.

სამი ქულის მომტანი ბურთი ბელგიელთა შემტევმა მერტენსმა მე-80 წუთზე გაიტანა. ევროპელებმა ბრწყინვალე კონტრიერიში წამოიწყეს და ედენ აზარმა თანაგუნდელი მეკარეს პირისპირ შეატოვა და მასაც გატანა არ გასჭირვებია.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კევინ დე ბრუინე***

აუცილებლად გამოსარჩევია მერტენსი და ფელაინი, ვისი წყალობითაც ბელგიელებმა მატჩი მოიგეს, მაგრამ თუ დე ბრუინეს თამაშს ყურადღებით ადევნებდით თვალს, არც საყრდენი ნახევარმცველის მარგი ქმედების კოეფიციენტი გამოგეპარებოდათ. მისი და აზარის ეფექტური თამაშის წყალობით მოუმატა ბელგიამ მეორე ტაიმში. დე ბრუინმა ორივე გოლში ლომის წილი დაიდო – ჯერ იუველირული პასი გაუკეთა ფელაინს, შემდეგ კი დაცვაში თამაშის დროს ჩაშალა მეტოქის შეტევა და ბრწყინვალე კონტრშეტევა წამოიწყო.

**რუსეთი – სამხრეთ კორეა 1:1**

**კუიაბა.** პანტანალი

0:1 ლი კიუნ-ჰო (68), 1:1 კერჟაკოვი (74)

**რუსეთი:** აკინფეევი, იგნაშევიჩი, გლუშაკოვი (დენისოვი 72), კოკორინი, ვ.ბერეზუცკი, შატოვი (ძაგოევი 59), ჟირკოვი (კერჟაკოვი 71), სამედოვი, ფაიზულინი, ეშჩენკო, დ.კომბაროვი

**სამხრეთ კორეა:** ჩუნ სუნ რენი, იუნ სუკ იონი, კიმ იუნ კვონი, ლი იონი, ჰონ იუნ ჰო (ჰვან სოკ ჰო 73), კუ ჩჟა ჩოლი, ჰან კუკ იუნი, კი სუნ იუნი, ლი ჩუნ იონი, სონ ჰიუნ მინი (კიმ ბო კიუნი 84), პაკ ჩუ იუნი (ლი კიუნ ჰო 56)

კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე უდავო ფავორიტები იშვიტად არიან და ისეთი გუნდები, როგორიც რუსეთია, ასეთ სტატუს არ იმსახურებს. იმის მიუხედავადაც კი, რომ მწვრთნელად ფაბიო კაპელო ჰყავს.

ჰო, დონ ფაბიო იუბილარი იყო და „საჩუქარი“ როგორი გაუკეთეს შეგირდებმა, ნათელია. განსაკუთრებით, იგორ აკინფეევმა.

მეტიც, კაპელოს რომ არ ევარგა და შეცვლები დროულად არ გაეკეთებინა, რუსები სულაც უქულოდ დარჩებოდნენ. სწორედ შეცვლაზე შესული ალან ძაგოევის და ალექსანდრ კერჟაკოვის აქტიურობით გათანაბრდა ანგარიში. ეს იყო ერთადერთი ხეირიანი შეტევა მთელ მატჩში.

მანამდე კორეელებმა გაიტანეს – აზიელთა მხრიდანაც შეცვლაზე შესული ლი კიუნ-ჰო გამოირჩა, თუმცა, მის გოლში დიდი წვლილი რუსების გოლკიპერმა იგორ აკინფეევმა დაიდო. ამ უკანასკნელმა კორეელის არცთუ სახიფათო შორეული დარტყმისას ბურთი ვერ შეიმარგა და კარში თავადვე შეაგდო.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სონ ჰიუნ მინი***

კორეელთა მე-9 ნომერი ძალიან სწრაფად მოძრაობდა და ერთადერთი იყო, ვინც პირველ ტაიმში ხიფათს ქმნიდა რუსთა კართან. მინი მეორე ტაიმშიც აქტიურად ეხმარებოდა გუნდს შეტევასა და დაცვაში.

# სიახლე ქართულ კალათბურთში

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი 3X3 კალათბურთში 22 ივნისს საზეიმოდ გაიხსნება. გახსნის ცერემონიალი „თბილისი მოლში“ გაიმართება, რასაც მოჰყვება დედაქალაქის შესარჩევი ტური, რომლის საუკეთესო გუნდებიც ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებენ.

მთლიანობაში 11 შესარჩევი ტური გაიმართება საქართველოს ყველა რეგიონში, საიდანაც წარმატებული გუნდები ფინალურ ტურნირში გადავლენ. საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს 12 ივლისს, თბილისი უმასპინძლებს.

საქართველოს ჩემპიონატი 3X3 კალათბურთში პირველად ტარდება. აქამდე ერთჯერადი ტურნირები იმართებოდა, ხოლო ფიბა-ს რეკომენდაციით და მხარდაჭერით საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ 3X3 კალათბურთს მეტი ყურადღება მიაქცია და ორგანიზებას ეროვნულ ჩემპიონატს უწევს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახმარებით ფედერაციამ ფიბა-ს სტანდარტის მოედანი შეიძინა, რომლის ანალოგიც საქართველოში არაა და რომელზეც ისტორიაში პირველი ჩემპიონატი გაიმართება 3X3 კალათბურთში, რომლის მიმდინარეობაც ონლაინ რეჟიმში, ფიბა-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გაშუქდება.

ტურნირში მონაწილეობის უფლება ექნებათ ნებისმიერ მსურველს, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა. რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და სუპერლიგის ოფიციალურ ვებგვერდებზე.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

ბელგია-ალჟირი .............................. 2:1
ბრაზილია-მექსიკა .......................... 0:0
რუსეთი-კორეა ................................ 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

ქართული დეტექტივი — მაკა ხუთაშვილი

# ვირუსი

დასაწყისი N 134-142

## 29

– გახსოვთ, როცა თავდგირაძესთან შევხვდით, – სოფიკო და თემო ცნობილი ექსპერტის, ლადო ბერიშვილის, კაბინეტში ისხდნენ. პროფესორი სამოც წლამდე მამაკაცი იყო. მისი სავარძლის უკანა კედელზე უამრავი ხის ჩარჩოში ჩასმული დიპლომი ეკიდა, უმეტესად უცხო ენებზე, კუთხეში კი მაცხოვრის ხატთან ჩამწვარი სასანთლე გაშავებულიყო, – მე მაშინაც გითხარით, რომ ეს ახალი ვირუსი ჩვენთვის აქამდე ცნობილ დაავადებებისგან განსხვავებით გაცილებით ძლიერია, – გააგრძელა ბერიშვილმა.

– შეიძლება ის მეტროში შეიტანონ? – თემომ მხრები აიჩეჩა.

– კი, რაიმე სპეციალური ჭურჭლით.

– კი, მაგრამ რატომ მეტროში და არა სხვაგან?

– იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მეტრო ისე კარგად არ ნიავდება, როგორც მიწისზედა ნებისმიერი ადგილი, ულტრაიისფერი სხივები ვირუსის უჯრედს მალე კლავს. როცა ადამიანი აცემინებს, მის გარშემო უხილავი ღრუბელი წარმოიქმნება, მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ საკმარისია, რომ დაავადება მეორე ადამიანს გადაედოს; თან ხომ იცით, მეტროში ხალხი ერთმანეთთან რა ახლოს დგას.

– ესე იგი, თქვენ ამტკიცებთ, რომ ვირუსი მეტროში სპეციალურად შეიტანეს, – ნინიძემ შუბლშეკრულმა ჩაილაპარაკა.

– მე კი არ ვამტკიცებ, – ბერიშვილმა თავი გადაიქნია, – ეს ჩემი ვარაუდია, მაგრამ უნდა ვაღიარო, სიმართლესთან ძალიან ახლოსაა. ჯერ ერთი, ვირუსი უცებ, თავისით, ვაგონში არ გაჩნდებოდა, მეორე, ძალიან უცნაური აგებულებისაა, ეჭვი მაქვს, ხელოვნურადაა შექმნილი, მესამე, მის საწინააღმდეგოდ მებრძოლი წამალი ანტივირუსინი ჩვენს ბაზარზე სრულიად მოულოდნელად გაჩნდა, თითქოს ციდან ჩამოვარდა, ანუ ეს წამალი ზუსტად ამ ვირუსთან საბრძოლველად შემოიტანეს!

– არც ერთი ფარმაცევტული კომპანია წამალთან კავშირს არ ადასტურებს?

– ქალბატონო სოფიკო, ეს ჩვეულებრივი პროცედურაა. არა მარტო ჩვენთან, ყველა ქვეყანაში ასე ხდება – როდესაც ბაზარზე რაიმე ახალი პრეპარატი ჩნდება, მას ჯერ იკვლევენ, რომ ადამიანზე რაიმე უარყოფითი ეფექტი არ ჰქონდეს და მხოლოდ შემდეგ გაიცემა ლიცენზია და ბოლოს კი გასაყიდად გამოაქვთ, ანტივირუსინზე კი არაფერია ცნობილი.

– კარგით, დავუშვათ, კონტრაბანდული პროდუქციაა, აფთიაქები მას როგორ ყიდიან?

– საქმეც ეგაა, რომ ეს წამალი ყველგან არ იყიდება. მისი შეძენა არცთუ იოლი საქმეა, მხოლოდ რამდენიმე აფთიაქში ვნახე.

– წამალი თუ გამოიკვლიეთ?

– მას კომბინირებული შემადგენლობა აქვს, თითქოს ეს არის წამალი არა მარტო გრიპის ვირუსისთვის, არამედ კიდევ სხვა დაავადებებისთვის, მაგალითად, გულისთვის, ღვიძლისთვის, თირკმელებისთვის, პირდაპირ გასაოცარია. ვცადე, ინფორმაცია ანტივირუსინზე ინტერნეტით მომეძია, მაგრამ არსად ფიქსირდება. ნეტა ვიცოდე, ვინ შექმნა და მასთან მალაპარაკა, ბევრ საინტერესო რამეს გავიგებდი. მისი შემქმნელები ნამდვილი გენიოსები არიან!

– ბატონო ლადო, თქვენს ენთუზიაზმს ნამდვილად ვერ გავიზიარებ, – გამომძიებელმა მშრალად უთხრა და მის აღფრთოვანებას წყალი გადაასხა, – მისმა გენიოსმა შემქმნელებმა ნეტა თუ იციან, უკვე რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს?!

ბერიშვილმა პირი დაალო, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მერე გაჩუმება ამჯობინა.

– მართლა, იცით ვინ არის ლარსონ ტოკი? – გამომძიებელს დევის კომპიუტერში ბეას მიერ აღმოჩენილი სტატია გაახსენდა.

– რასაკვირველია, – ბერიშვილი კითხვამ გააოცა, – ცნობილი მეცნიერია, რატომ გაინტერესებთ?

– ისე, უბრალოდ, – სოფომ მისი კითხვა უპასუხოდ დატოვა, უბრალოდ ადგა და კაცს დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

## 30

– ყველა აფთიაქი მოვიარე და დოკუმენტები მოვითხოვე, ანტივირუსინს როგორ ყიდიან, – თემომ ნინიძეს წინ ფურცლები დაუდო, – ყველა ადასტურებს, რომ წამალი როცა შემოვიტანეთ, ლიცენზია ჰქონდაო, თორემ ისე არ გავყიდდითო, ისე კი ძალიან შეეშინდათ.

– მერე ლიცენზია შეამოწმე?

– ყალბია, მაგრამ მაღალ დონეზეა შესრულებული, ეჭვიც არ გაგიჩნდება, რეგისტრაციის ნომერი, ყველაფერი ზედ აქვს.

– ესე იგი, ისეთმა ადამიანმა გააკეთა, ვინც ამ საქმეს კარგად იცნობს. მართლა, აფთიაქებში ანტივირუსინი ვინც დაარიგა, მისი გარეგნობის აღწერა თუ მოსთხოვე?

– ყველა აფთიაქში სხვადასხვა ადამიანი ამიწერეს, ვეცდები, თითოეულის ფოტორობოტი შევადგინო, მაგრამ მეეჭვება, ამით რამე გამოვიდეს.

– სამწუხაროდ, უნდა დაგეთანხმო, – სოფომ ქვედა ტუჩი მოიკვნიტა, ნაოჭებმა შუბლი დაუღარეს, – სესილი ბაზაძე ვნახე, დევის სიკვდილზე ბევრი ივიშვიშა, ეტყობა, მართლა უყვარდა ის არამზადა. ისე კი ძალიან ნანობს, ნარკოტიკებში არ უნდა ჩავრეულიყავიო, დოლაბერიძის საქმიანობაზე სხვა არაფერი იცის. ალბათ, დევი არც მას ენდობოდა და თავის საიდუმლოებებს არ უმხელდა.

– ეგ ცუდია.

– რა ვიცით ბისონის სიკვდილზე? – სოფომ უკმაყოფილო სახით ფანჯარაში გაიხედა, – მას სიკვდილამდე ფული მოპარეს, თითქმის დარწმუნებული ვარ, ეს დევი იყო. დოლაბერიძემ ნაწილი ნარკოტიკების შესაძენად გამოიყენა, დიდი ნაწილი კი საზღვარგარეთ იმ უცხოელ მეცნიერს, ტოკს გადაურიცხა. ანრი ბისონმა ამის შესახებ შეიტყო და ამიტომ მოკლეს?! არ მჯერა, საქმე გაცილებით სერიოზულადაა!

– რატომ, ქალბატონო სოფიკო, ორი მილიონი დოლარი ცოტა ხომ არ არის, კაცი რომ მოკლან, იქნებ, ბისონი დაემუქრა და დევის შეეშინდა.

– კი ბატონო, – ქალი მისკენ შეტრიალდა, სახე ოდნავ ასწითლებოდა, ტუჩები სისხლისფრად უელავდა, – შეიძლება, სხვას რომ გაეგო, მას თავისი თანამშრომლები ქურდავდნენ, უფროსი დამნაშავეს მაშინვე პოლიციას ჩააბარებდა და სწორადაც მოიქცეოდა, მაგრამ არა ანრი ბისონი; ის ასეთი კაცი არ იყო. ბისონი, როცა დევის ქურდობის შესახებ გაიგებდა, გაუბრაზდებოდა, მერე კი აპატიებდა, ამაში დარწმუნებული ვარ. არა, ჩვენ უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ. მგონია, რომ ბისონის მკვლელობა დევის დაგეგმილი არ არის!

– რა იცით! ხომ გახსოვთ, დოლაბერიძე როგორი უსიამოვნო კაცი იყო. ადამიანი აფექტის მდგომარეობაში რა სისულელეს არ ჩადის, რომელი ერთი შემთხვევა გავიხსენო.

– კი ბატონო, მაგაში გეთანხმები, მაგრამ დოლაბერიძე სულელი არ იყო, პირიქით, ჭკვიანი არამზადა იყო, ის მკვლელობას უკიდურეს შემთხვევაში დათანხმდებოდა, ამას იცი, როდის მივხვდი? როცა ის მოკლეს. დევი მაქსიმალურად შეეცდებოდა, საშიში ფინალი თავიდან აერიდებინა, ის სიმხდალის გამოვლინებისთვის ან შეიძლება ღალატისთვის თავიდან მოიშორეს, რაღაც არ აპატიეს!

– ან მოკლეს, როგორც საშიში მოწმე! – დაასრულა თემომ.

## 31

ბეამ კიბე ჩაიარა და ლაბორატორიის კარზე დააკაკუნა. არავინ უპასუხა, არადა, შიგნით სინათლე ენთო. ერთი წუთის შემდეგ, როგორც იქნა, კარი გაიღო. ღიობში პროფესორი ნოდარ ლობჟანიძე იდგა. ბეას მოეჩვენა, რომ მამაკაცს მისი დანახვა არ ესიამოვნა: „ეტყობა, ცუდ დროს მოვედი!“ – გაიფიქრა, წამით უკან გაბრუნებაც დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და შიგნით შევიდა.

– ბატონო ნოდარ, მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, თქვენთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

კაცმა არაფერი უთხრა და გზა დაუთმო. ბისონმა ლაბორატორიას თვალი მოავლო. გრილოდა, ჰაერში უცნაური უსიამოვნო სუნი ტრიალებდა. კუთხეში მინის კედლებიანი კარადა იდგა, შიგნით თეთრი და რუხი ფერის თაგვები დაცოცავდნენ. გოგონას უცებ შეაჟრჟოლა, გალიაში მათი გამომწყვდევის მიზეზს რომ მიხვდა. გრძელ და ოდნავ მომრგვალებულ მაგიდასთან ორი მიკროსკოპი იდგა, გვერდით ფურცლები ეწყო.

– რით შემიძლია გემსახუროთ? – ჰკითხა კაცმა მშრალად.

ბეა სკამზე დაჯდა, არც იცოდა, საიდან დაეწყო, მამაკაცის ცივმა მიღებამ სულ მთლად დააბნია.

– ბატონო ნოდარ, კომპანიას ფინანსური პრობლემები აქვს, – ბისონმა ჩქარ-ჩქარა თქვა, – რას იტყვით, ჩვენც რამე ახალი პრეპარატი რომ შემოვიტანოთ, რომელიც ახალ ვირუსს დაძლევს, ნუთუ მარტო ანტივირუსინი შველის ამ დაავადებას?

– დიახ, – მამაკაცი უცებ გამოცოცხლდა, – ახალი წამალი გამოვიკვლიე და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, მსგავს რამეს ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ შევხვედრივარ.

– რას გულისხმობთ?

– პრეპარატს კომბინირებული შემადგენლობა აქვს, ის არა მარტო ვირუსის, არამედ სხვა დაავადებების სამკურნალოდაც არის შექმნილი.

– აა, გასაგებია და კიდევ ერთი, გსმენიათ ვინმე ასეთ პიროვნებაზე, ლარსონ ტოკზე?

– რა თქმა უნდა, ვიცი, ცნობილი მეცნიერია. რატომ გაინტერესებთ?

– მამაჩემი იცნობდა?

– შეიძლება, ბატონი ანრი ბევრს მოგზაურობდა და არც გამიკვირდება, თუკი ოდესმე ტოკს სადმე შეხვდებოდა.

ბეამ დამშვიდობებისას უბრალოდ თავი დაუკრა და ლაბორატორიიდან გავიდა, მის უკან კარი მიიხურა.

## 32

– ნათია როგორ არის? – ბეა ბისონი საღამოს უკვე ოფისიდან გადიოდა, რომ დამლაგებელმა ქალმა კიბეზე შეაჩერა.

– ლენა დეიდა, დღეს ტელეფონით ველაპარაკე, უკვე კარგადაა, – ღიმილით მიუგო ბეამ.

– მადლობა ღმერთს, ძალიან კარგი გოგოა, აუცილებლად მომიკითხე, – ლენამ გასაღებები გააჩხრიალა და წავიდა.

გამოსვლისას ბეა დაცვის ბიჭებს დაემშვიდობა და ქუჩაში გავიდა, მანქანაში ჩაჯდა. საღამოს, როგორც ყოველთვის, გზები გადატვირთული იყო. ნელ-ნელა ბინდი შემოეპარა, სასიამოვნოდ რბილი და თბილი ნიავი უბერავდა. ბეა სახლს მიუახლოვდა, მანქანა ავტოფარეხში შეიყვანა და სიგნალიზაცია ჩართო.

გოგონამ ჩანთიდან გასაღები ამოიღო და ბინის კარს მიუახლოვდა. ის იყო, კარი უნდა გაეღო, რომ მოულოდნელად უკნიდან ვიღაცამ ხელები გაუკავა და ცხვირ-პირზე რაღაც სითხით გაჟღენთილი ნაჭერი ააფარა.

ბეამ გაიბრძოლა, ფეხები და ხელები აამოძრავა, მაგრამ წამალმა თვალის დახამხამებაში იმოქმედა და მალე მიაყუჩა. ყველაფერი ბნელმა მოიცვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

---

სპორტი

## ძიუდოისტებს ახალი ევროპული სტანდარტების დარბაზი ექნებათ

სამინისტროში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის – ლევან ყიფიანის და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის – დავით ქევხიშვილის ერთობლივი ბრიფინგი გაიმართა.

ბრიფინგს ასევე ესწრებოდნენ ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი – მამუკა ყიზილაშვილი და საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი – ადამ ოქრუაშვილი.

ბრიფინგზე კიდევ ერთხელ აღინიშნა გუნდისთვის დღეს არსებულ ძირითადი პრობლემა – თბილისში ნაკრებისთვის სავარჯიშო დარბაზისა და ბაზის უქონლობა. ეროვნული ნაკრები უკვე წლებია ინფრასტრუქტურული პრობლემების წინაშე დგას, რაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს და თბილისში უნდა გაჩნდეს თანამედროვე სტანდარტების დარბაზი, რომელიც საქართველოში ძიუდოს განვითარების ბაზა გახდება.

დღეისათვის კაპიტალურად რემონტდება დიღომში მდებარე ძიუდოს აკადემია, სადაც 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადება მიმდინარეობს.

სამინისტრო ყველა ღონეს იხმარეს იმისათვის, რომ აღნიშნული დარბაზი, რომელიც მერიის ბალანსზე იმყოფება, სრულად რეაბილიტაციის და ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ძიუდოს ფედერაციას მფლობელობაში გადავა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ორგზის და ევროპის შვიდგზის ჩემპიონ ძიუდოს ეროვნულ ნაკრების წევრებს 13 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი – ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა.

შეხვედრის დროს, პრემიერ-მინისტრმა ძიუდოისტებს 2014 წელს მიღწეული წარმატება მიულოცა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო მხარში უდგას ძიუდოს ფედერაციას, უზრუნველყოფს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ყველა შეკრებას, ეროვნულ ჩემპიონატებში, საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობას, ასევე მათ პრემირებას მიღწეული სპორტული შედეგებისათვის. პრემიერ-მინისტრმა ლევან ყიფიანს პირადი დავალება მისცა, რომ უახლოეს მომავალში ძიუდოს ფედერაციისათვის ინფრასტრუქტურული პრობლემები ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს.

## მარადონას ბრაზილია შემოსწყრა, მესის გერმანია-ჰოლანდია მოსწონს

არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელად მიჩნეული დიეგო მარადონა, არგეტინა – ბოსნიის მატჩს ვერ დაესწრო.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დონ დიეგო „მარაკანაზე“ აკრედიტაციის უქონლობის გამო ვერ მოხვდა, თუმცა თავად სხვა აზრი გააჩნია.

– ბრაზილიელებს ჩემი სტადიონზე შესვლა არ უნდოდათ. ერთია, როდესაც ამის გაკეთების უფლება გაქვს და მეორე – უსინდისობა და ადამიანის მოტყუება. როდესაც ადამიანები არიან პატიოსანი და გულწრფელი, ისინი საშუალებას გაძლევენ შეხვიდე სტადიონზე. მაგრამ სხვაგვარად, იძულებული ხდები დაუყოვნებლივ დაივიწყო ისინი და დაბრუნდე საკუთარ სასტუმროში, – განაცხადა გაბრაზებულმა მარადონამ.

არგენტინის ნაკრების კაპიტანმა ლეო მესიმ კი აღნიშნა, რომ მუნდიალის ფავორიტები გერმანია და ჰოლანდიაა.

– ჯერ არცერთ გუნდს უჩვენებია მათი პოტენციალი ბოლომდე. ამ დროისთვის კი ორი ქვეყანაა გამორჩეული, ჰოლანდია და გერმანია, რომლებიც, რა თქმა უნდა, ფავორიტთა რიგებში არიან, – აღნიშნა მესიმ.

## ქართველები უიმბლდონს ნაადრევად დაემშვიდობნენ

უიმბლდონის კვალიფიკაციის პირველ რაუნდში ქართველი ჩოგბურთელებისთვის წარუმატებელი გამოდგა. საქართველოს პირველი ჩოგანი, მსოფლიოს რეიტინგ-სიაში 199-ე სოფია შაფათავა ჩეხ ტერეზა სმიტკოვას შეხვდა, რომელიც კლასიფიკაციაში 174-ე ადგილზეა.

შაფათავამ ბრეიკით დაიწყო, მაგრამ იქვე დათმო. შემდეგ ორივე მათგანმა ორ-ორი თავისი თამაში მოიგო, რის შემდეგ სმიტკოვამ უფრო გააქტიურდა და სეტი სათავისოდ დაასრულა – 3:6.

ქართველი ჩოგბურთელისთვის მეორე სეტის დასაწყისი უფრო ნაყოფიერი გამოდგა 3:0 და იქიდან ნასახა, მაგრამ ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო. ძალის მოკრება იყო მე-8 გეიმი – ჩვენებურმა ბრეიკი დაიბრუნა, ანგარიში გაათანაბრა და ტაი ბრეიკამდე მიიყვანა.

შაფათავა თავიდან აქაც ჩამორჩა – 0:3, მაგრამ ძალები მოიკრიბა და ისევ გაათანაბრა. შემდეგ სმიტკოვას 2 მატჩ-პოინტი ჰქონდა, აქედან ჩვენებურმა ერთს გაუძლო, მაგრამ თავისი მოწოდება და მატჩი წააგო – 3:6;6:7.

პირველივე რაუნდში გამოეთიშა უიმბლდონის ვეტერანი ჩვენ შორის საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილიც. ქართველი ჩოგბურთელი საკვალიფიკაციო ბადის მე-9 ნომრად განთესილ დენის კუდლას (აშშ) დაუპირისპირდა და ორ სეტში დამარცხდა – 3:6; 0:6 წააგო.

მ. ჟ.

---

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი; 2. იაპონური თეატრის ერთ-ერთი სახეობა, რომელშიც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 3. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 4. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 7. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 8. კუთხე საქართველოში; 12. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ფულადი გასამრჯელო; 14. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. სამრეწველო რაიონი პოლონეთის სამხრეთში; 17. სამხრეთ ამერიკის მთიანეთში გავრცელებული დიდი მტაცებელი ფრინველი; 19. ცხვრის ქონიანი კუდი; 20. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი.

**თარაზულად:** 5. დადგენილი ნორმა, სტანდარტი, რასაც უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის საგანი, საქონელი; 6. ძველი რწმენისგან განდგომა; 7. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 10. ინდიელთა ტომის ბელადი; 11. მინერალური წყალი იმერეთში; 13. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 15. აჭარული საქორწილო-სანახაობითი წარმოდგენა; 18. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს ან ვერცხლის ნაკეთობაზე; 21. პარფიუმერულ საშუალებათა ძველი ქართული სახელწოდება; 22. თორმეტი თანავარსკვლავედი; 23. ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მუხიანი; 2. მადაფათა; 3. სოკარი; 4. პორტო; 5. ნიკოლაძე; 8. კარაკასი; 12. ცეცე; 13. ტრაქტატი; 14. ანდები; 16. სილეზია; 18. უწერა; 20. ჭაჭა.

**თარაზულად:** 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. კახასა; 9. პარმა; 10. პარალიზი; 11. ცერცვაძე; 15. ბრიჯსტოუნი; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. ქარაგმა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტრიბუნა; 2. ლეკები; 3. ლაზარეთი; 4. რიტორიკა; 7. ჰანდიკაპი; 8. კვარიათი; 12. აბრეშუმი; 14. კვესტურა; 16. გეიზერი; 17. ბალდათი; 19. მექა; 20. გოია.

**თარაზულად:** 5. ღრმაღელე; 6. ბრაუნინგი; 9. ნუტრია; 10. ბუკერი; 11. ვაშლი; 13. ებანი; 15. ავრორა; 18. ჰერში; 21. სუპერმენი; 22. ეიფორია; 23. კანტონი.

# სოფო ტოროშელიძე გაორმაგებულ ბრძოლას იწყებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რებდნენ აუთსაიდერებში დგომას? მაგრამ მაყურებელი წყვეტს ყველაფერს. მათთვის კეთდება ეს პროექტი და ჩვენც ისე უნდა გავაკეთოთ, ისე უნდა მივაწოდოთ ესა თუ ის კონკურსანტი მათ, რომ ისინი აუთსაიდერებში არ იდგნენ. ამაში მარტო რეპერტუარი არ იგულისხმება. ე.ი. რაღაცაშია პრობლემა. თუ ვიღაც არის განსაკუთრებულად ნიჭიერი და მივიჩნევთ, რომ აუთსაიდერებში კი არა, პირველ სამეულში უნდა იყოს, მაგრამ ის რატომღაც მაინც გავარდნის კანდიდატია, ე.ი. რაღაცაშია პრობლემა და ეს პრობლემა რაღაცნაირად უნდა მოგვარდეს ალბათ მენტორის, პროდიუსერების და მომუშავე გუნდის მიერ.

*— სტეფანემაც ეს იგულისხმა, როცა აუთსაიდერებიდან თავისი ხმა არა სოფი საკაშვილს, არამედ აკეს და ანას მისცა?*

— ძალიან სწორად გავიგე სტეფანეს ნათქვამის აზრი, თუმცა ვაღიარებ, ძალიან მოულოდნელი იყო, არ ველოდი სტეფანესგან იმას, რომ თავისი გუნდის წევრს კი არ გადაარჩენდა, არამედ აკეს და ანას მისცემდა ხმას. დარწმუნებული ვიყავი, რომ სოფი საკაშვილს გადაარჩენდა. მოხდა ალოგიკური რაღაც და ასე გააკეთა ადამიანმა არჩევანი. დაახლოებით მივხვდი სტეფანეს მესიჯს ხალხის მიმართ, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სოფი საკაშვილი აუთსაიდერებში არ მდგარიყო, მაგრამ რადგან ხალხი მაინც არ ლებულობს და თვლის, რომ ის უნდა იყოს აუთსაიდერებში, მაშინ სხვა გზა აღარ აქვს სტეფანეს, თუმცა მის ადგილას შეიძლება პირადად მე ასეთი რაღაც არ გამეკეთებინა, ხელი არ ჩამექნია და არ დავნებებულიყავი. საბოლოო ჯამში სტეფანემ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და აკეს და ანასთვის მიცემული თავისი ხმა სოფი საკაშვილს მისცა. მე ჩემი გასაჭირი მქონდა, ჩემი აუთსაიდერები მყავდნენ. გიორგიმ და თამთამ ძალიან იყოჩაღეს და შეაცვლევინეს სტეფანეს გადაწყვეტილება. კი, გული დამწყდა, რომ აკემ და ანამ დატოვეს პროექტი, მაგრამ ის ნაბიჯი, რაც სტეფანემ გადადგა, არ იქნებოდა სამართლიანი, ამიტომ მიხარია, რომ საბოლოოდ აზრი შეიცვალა.

*— სოფო, „იქს ფაქტორის“ მეორე სეზონი იქნება?*

— რა თქმა უნდა, მეორე სეზონიც აუცილებლად იქნება, ასეთივე მრავალფეროვანი და პირველი სეზონის გამოცდილების შემდეგ მეორე სეზონი კიდევ უფრო საინტერესო იქნება. მთავარია, რომ მაყურებელმა მიიღო „იქს ფაქტორის“ პირველი სეზონი, ჩვენც წარვადგინეთ ეს პროექტი და მეორე სეზონიდან მოთხოვნაც გაიზრდება კონკურსანტების მხრიდანაც.

*— როდის მთავრდება პირველი სეზონი?*

— წესით, მთავრდება 30 ივნისს. ფინალი იქნება 30 ივნისს. შეიძლება ყველაფერი მოხდეს და დაემატოს ლაივი. წესით, ფინალამდე დარჩენილია ორი ლაივი, ანუ 30 ივნისს „იქს ფაქტორის“ პირველ სეზონს დავასრულებთ.

ეკა ირემაშვილი

# სალომე ბაკურაძე თაფლობის თვეს ესპანეთში ატარებს

ეკა ირემაშვილი



მომღერალი სალომე ბაკურაძე თაფლობის თვეს ესპანეთში ატარებს. ჯეოსტარელი მეუღლესთან ლაშა ბასლანძესთან ერთად ევროპაში იმყოფება და საუკეთესო დღეებით ტკბება.

სალომემ და ლაშამ ჯვარი ამ უქმეებზე პატარა სამებაში დაიწერეს. მომღერლის მეჯვარე ასევე ჯეოსტარელი თიკა მახალდიანი იყო. სალომეს მეუღლე ტელეკომპანია „ჯიდიესში“ ლოკაციის მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობს.

ჯვრისწერისა და საქორწილო სუფრის შემდეგ, რომელიც რესტორან „ბარაკონში“ გაიშალა, ახლად შეუღლებულები ესპანეთში გაფრინდნენ. სალომემ საქონწილო ფოტოების შემდეგ, სოციალურ ქსელში უკვე გაავრცელა ესპანეთში გადაღებული ფოტოებიც, რომლებმაც არაერთი მოწონება და თბილი კომენტარი დაიმსახურა. წყვილს გაბედნიერება სოციალურ ქსელში უამრავმა ადამიანმა მიულოცა და მათ ერთად დიდხანს ყოფნა უსურვა.

# „ჩელოს სეზონზე“ ლიზა რამიშვილი დაუკრავს

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრში მიმდინარე საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „ჩელოს სეზონი“ 21 ივნისს 17 წლის ქართველი ჩელისტი ლიზა რამიშვილი დაუკრავს. გიუმრის საერთაშორისო კონკურსის გრან პრის, „მაკნატუნას“ პირველი ადგილისა და ოქროს მაკნატუნას მფლობელი მუსიკოსი სტრავინსკის, შოსტაკოვიჩის და რაველის ნაწარმოებებს შეასრულებს. ლიზა რამიშვილი ფართო საზოგადოებამ საბავშვო ევროვიზიიდან გაიცნო. ის ჯგუფში „პრინცესები“ იყო გაერთიანებული, რომელმაც საქართველო წარადგინა 2009 წლის საბავშვო ევროვიზიაზე უკრაინაში. ჩელისტ ლიზა რამიშვილთან ერთად ჯგუფში გაერთიანდნენ ბალერინა ანა ტყეშელაშვილი და ვოკალისტები მარი ბოკერია, ლიზა ყენია, მარიამ გურგენიძე და ელენე მაყაშვილი.

რუსთაველის თეატრში გამართულ კონცერტზე სადირიჟორო პულტთან მაესტრო ქრისტიან კლუქსენი იდგება. ფესტივალს კი ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და ნიკოლოზ რაჭველი წარმოგიდგენთ. „ჩელოს სეზონი“ რუსთაველის თეატრში ივნისის თვეში დაიწყო და მთელ თვეს გასტანს. ყოველ შაბათს ქართველი მსმენელისთვის ფესტივალის ეგიდით მსოფლიოს საუკეთესო ჩელისტები შეასრულებენ ჰაიდნის, შუმანის, დვორჟაკის, ელგარის, ჩაიკოვსკის, შნიდკეს, შოსტაკოვიჩისა და ყანჩელის ნაწარმოებებს. ფესტივალი გახსნა ლეგენდარულმა ჩელისტმა ნატალია გუტმანმა, საფესტივალო მარათონში ჩართული იყვნენ ბორის ანდრიანოვი, სანდრო სიდამონიძე, ნიკოლას ალშტატი, იშტვან ვარდაი.

ფესტივალის საზეიმო დახურვა 28 ივნისს არის დაგეგმილი. ბოლო შაბათს სპეციალური სტუმრის სტატუსით თბილისში მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსები დავიდ გერინგასი და სერგეი ნაკარიაკოვი ჩამოვლენ.

# ვინ გასცემს რუსთაველის და ეროვნულ პრემიებს?

ეკა ირემაშვილი

ვინ გასცემს რუსთაველის და ეროვნულ პრემიებს? — ეს კითხვა საკმაოდ აქტუალურია, რადგან როგორც ცნობილი გახდა, მთავრობის სხდომაზე გადაიდო საკითხის განხილვა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტისთვის კიდევ ერთი უფლებამოსილების შესაძლო ჩამორთმევის საკითხს ეხებოდა, შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მინიჭების პრეროგატივის პრეზიდენტისგან პრემიერ-მინისტრის ხელში გადასვლას. როგორც კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი აცხადებს:

„კულტურის სამინისტროს ინიციატივაა, რომ ყველა პრემია ყოველწლიურად არ გაიცეს. ჩვენი შეთავაზებაა, რომ ერთ წელს იყოს რუსთაველის პრემია, მეორე წელს ეროვნული. შესაძლებელია, ჩვენ ამაზეც ვმუშაობთ, რომ მესამე სახელმწიფო პრემია იყოს ვაჟა-ფშაველას სახელობის. ის საკითხი, თუ რატომ გახდა აუცილებელი პრემიის მინიჭების პრეროგატივა პრემიერის კომპეტენცია გამხდარიყო, არ ვიცი. იმაზეც ვერ გეტყვით ზუსტ პასუხს, პრემიერის კომპეტენციაა ეს თუ პრეზიდენტის. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და სახელმწიფო მუშაობს იმაზე, რომ ადამიანებს მიაგონ პატივი და დაუფასდეთ ის ღირსება, რომელიც აქვთ ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე ნიჭიერ შემოქმედებს და არა მარტო შემოქმედებს, არამედ მეცნიერებს და ა.შ. ჩვენ ვიფიქრეთ იმაზე, თუ როგორ გავაკეთოთ ეს, რომ არ გაუფასურდეს და ამ პრემიას ჰქონდეს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი სტატუსი. ეს არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ისიც, რომ პრემიას გასცემს სახელმწიფო.“

# როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა ქვეყანაში

დასაწყისი მე-8 გვერდზე

შრომის ანაზღაურების მდგომარეობაზეც.

— აღსანიშნავია, რომ 2014 წლის I კვარტალში, დაქირავებით დასახლებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 9%-ით (65,8 ლარით), ხოლო 2012 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 17,7%-ით (119,4 ლარით) გაიზარდა და 795,7 ლარი შეადგინა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელფასები სოფლის მეურნეობის – 21,2%, თევზჭერის – 18,4%, მშენებლობის – 16,1%, საფინანსო საქმიანობის – 9,3%, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის – 9,4%, დამამუშავებელი მრეწველობის – 8,1% და სხვა სექტორებში. 2014 წლის I კვარტალში ასევე გაიზარდა არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი და 819,1 ლარი შეადგინა, რაც 9,6%-ით (72 ლარით) აღემატება 2013 წლის და 25,4%-ით 2012 წლის I კვარტლების მაჩვენებლებს. ამავე პერიოდში ბიზნესსექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 779,1 ლარი შეადგინა, რაც 8,6%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს, ხოლო 12,8%-ით 2012 წლის პირველი კვარტლის მონაცემს.

დავით ჯანელიძემ აღნიშნა, რომ წინასწარი მონაცემებით, დადებითი ტენდენციებია ბიზნესსექტორის საქმიანობაშიც.

– 2013 წელს ბიზნესსექტორის ბრუნვა (2012 წელთან შედარებით) დაახლოებით 4,2%-ით გაიზარდა და 41 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ზრდით მესამე და მეოთხე კვარტალი გამოირჩეოდა. მეოთხე კვარტალში ბრუნვის მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10,4%-ით, ხოლო 2013 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 40,6%-ით არის გაზრდილი. ბიზნესსექტორის გამოშვება 199 მილიონი ლარით არის გაზრდილი 2012 წელთან შედარებით. 2014 წლის I კვარტალში ბიზნესსექტორის ბრუნვა დაახლოებით 10 მილიარდი ლარი (ზუსტად 9999,2 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 16,1%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემს, ხოლო 2012 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელს – 22,7%-ით. ამასთან საწარმოთა გამოშვებამ 2014 წლის I კვარტალში 5 017,6 მლნ ლარს მიაღწია, რაც 15,8%-ით მეტია 2013 წლის, ხოლო 22,7%-ით 2012 წლის კვარტლების მაჩვენებელზე.

2014 წლის პირველ კვარტალში ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 495,7 ათას გაუტოლდა. ამ პერიოდში 10 ათასი ადამიანით მეტი (ზუსტად 9968 –2,1%) იყო დასაქმებული, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში და 25672 ადამიანით მეტი, ვიდრე 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში (ზრდა 5,5%).

დავით ჯანელიძის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, მრეწველობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ზრდა დაფიქსირდა როგორც 2013 წელს, ასევე 2014 წლის I კვარტალში. 2013 წელს მრეწველობის ბრუნვა 2012 წელთან შედარებით 7,2%, ხოლო გამოშვება 7,6%-ით არის გაზრდილი.

2014 წლის კვარტალში მრეწველობაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებამ 767,5 ლარი შეადგინა, რაც 6,7%-ით (48,3 ლარით) აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს, ხოლო 13,4%-ით (90,7 ლარით) 2012 წლის I კვარტლის მონაცემს.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, 2014 წლის I კვარტალში მშენებლობის სექტორში შეინიშნება ზრდა. აღნიშნულ პერიოდში ბრუნვა 481,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 16,8%-ით (69,2 მლნ ლარით) აღემატება 2013 წლის I კვარტლის მონაცემს. ხოლო გამოშვებამ 530,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 19%-ით (84,7 მლნ ლარით) აღემატება 2012 წლის I კვარტლის მონაცემს.

2012 წლის I კვარტალში მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობამ 41455 კაცი შეადგინა, რაც 592 სამუშაო ადგილით (1,4%-ით) აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მონაცემს. შესაბამისად, სამუშაო ადგილები გაიზარდა სამშენებლო მოედნების მომზადების (321 კაცით, 62%-ით მეტი), შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისა (731 კაცით, 2,1%-ით მეტი) და მოწყობილობების იჯარის (23 კაცით, 4,3%-ით მეტი) საქმიანობაში. ამავე პერიოდში მშენებლობის სექტორში მუშაობის ანაზღაურება 143,6 ლარით (17%-ით) გაიზარდა და 995,2 ლარი შეადგინა, ხოლო 2012 წლის იმავე პერიოდთან შედარებით ეს მონაცემი – 20,5%-ით (169 ლარით) არის გაზრდილი.

დავით ჯანელიძე აცხადებს, რომ 2013 წელს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. ამ წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებამ 3,4 მილიარდი ლარი (345 მილიონი ლარით მეტი) შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 11,4%-ით, 2011 წელთან შედარებით – 17%-ით, ხოლო 2007 წელთან – კრიზისამდელ პერიოდთან შედარებით – 41%-ით არის გაზრდილი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მთლიანი გამოშვება 2012 წელთან შედარებით 10,4%-ით (389 მლნ ლარით) არის გაზრდილი და 4,1 მილიარდ ლარს უტოლდება, ხოლო 2011 წელთან შედარებით – 16%-ით (568 მლნ ლარით) მეტია. გაზრდილია სოფლის მეურნეობის მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტში 2013 წელს 2012 წელთან შედარებით 9,8%-ით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიზნესსექტორის მიერ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ზრდა. 2014 წლის I კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობა 8,3%-ით აღემატება 2013 წლის I კვარტლის, ხოლო 48,1%-ით 2012 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემს.

ასევე გაიზარდა შრომის ანაზღაურება და 2014 წლის I კვარტალში 491,6 ლარი შეადგინა, რაც 22%-ით აღემატება 2013 წლის I კვარტლის მონაცემებს.

2013 ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. მთლიან შიდა პროდუქტში ტრანსპორტის სექტორის მოცულობა 1,8 მილიარდ ლარს გაუტოლდა და 2012 წელთან შედარებით 4,9%-ით არის გაზრდილი, რაც 113 მილიონი ლარით აღემატება 2012 წლის მონაცემს, ხოლო 2011 წლის მონაცემს კი – 244 მილიონი ლარით.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, ასევე მნიშვნელოვანია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სფეროს ბრუნვის ზრდის ტენდენციები. კერძოდ, 2014 წლის პირველ კვარტალში ამ სფეროში ბრუნვა 1149,2 მილიონ ლარს გაუტოლდა, რაც 10,5%-ით აღემატება 2013 წლის, ხოლო 13,5%-ით 2012 წლის I კვარტლის მაჩვენებელს. ასევე 2013 წლის სექტორის ბრუნვა 4 686 მილიონ ლარს გაუტოლდა, რაც 337,4 მლნ ლარით აღემატება 2012 წლის მონაცემს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ზრდა. 2014 წლის I კვარტალში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება 1085,4 ლარს გაუტოლდა, რაც 9,5%-ით აღემატება 2013 წლის პირველი კვარტლის, ხოლო 16%-ით 22 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემს.

დავით ჯანელიძის განცხადებით, 2013 წელს ტურიზმის სფეროებში პროდუქციის გამოშვება 2,9 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 251 მლნ ლარით 2012 წლის მონაცემს. ამასთან ტურიზმის სფეროების წილმა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 7,1% შეადგინა, ნაცვლად 6,7%-სა 2012 წელს.

2013 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1,7 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც 22%-ით აღემატება 2012 წლის მონაცემებს. 2012 წელს სასტუმროებისა და რესტორნების სექტორის რეალურმა ზრდამ მთლიან შიდა პროდუქტში 7,2% შეადგინა.

2014 წლის პირველ კვარტალში ასევე გაიზარდა სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაც, რაც 5,2%-ით აღემატება 2013 წლის, ხოლო 24%-ით 2012 წლის I კვარტლის მაჩვენებლებს.

## TV ხუთშაბათი 19 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 **ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი: **კამერუნი – ხორვატია** (გ/ჩვ) 17.00 "შემოძახილი" 17.30 "არენა" 18.20 დ/ფ "გზა ბრაზილიისკენ" მე-16 ეპიზოდი: კოტდიუარი/ესპანეთი 19.50 **ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი: **კოლუმბია – კოტდივუარი** (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 22.50 **ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი: **ურუგვაი – ინგლისი** (პ/რეპ) 01.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 01.50 **ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი: **იაპონია – საბერძნეთი** (პ/რეპ)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" - "სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის" (ოთხშ. გ/ჩვ) 11.00 დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "ჩეხეთის რესპუბლიკა" 11.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია – კონსტანტინეპოლის დაცემა მე-2 ფილმი (გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" - "ევროპელი დემოკრატები" (პ/ე) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა"** 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ **"მინდა გახსოვდე"** (პ.ბროსნენი) 02.10 მხ/ფ **"ჩე"** (რ.სანტორო)

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"საპრა"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.00 თბილისი ლაივ 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.) 04.00 სერ. **"არ დამივიწყო"**

08.00 GDS დილა 10.00, 19.00 **სერიალი "ლენა"** 11.00 TOP 10 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 კიბერპაუსი 14.30 Song story 14.45, 16.30, 17.30 მინიპედია 15.00 ბინა 18 16.00 დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" 16.45 ქვიშის ზღაპრები 17.00 მისტერ ამიკო 17.45 ქვიშის ზღაპრები 18.00, 20.00 დ/ფ 21.00 **სერიალი "ზემოქმედება"** 22.00 მხ/ფ 00.15 მუსიკა

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 ჩვენი ფონდი 07.00 დ/ფ "მესაზღვრე ბერები" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "სამშობლო ხარ ჩემი" 11.10 ქართული ალბომი 11.35 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"ელისო"** 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ,უფალო 15.20 დ/ფ "აკაკი" 16.10 კონცერტი - ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 "პორტრეტები" 20.15 მოკ./ფ. **"კაცები"** 20.55 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დ/ფ "საგუშაგო კოშკი" (იალოვას მონმეები) 22.25 დ/ფ "წმინდა იოანე ნათლისმცემელი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ./ფ. **"ალავერდობა"** 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 სამედიცინო გადაცემა "პულსი" (გამ.) 8.25 დოკფ. "გზა ბრაზილიისკენ" 8.45, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30, 1.20 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.00 იმედის ფსონი. 14.00 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 15.45 პრესის მიმოხილვა 16.02, 17.02 **სერიალი "ასი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, **სერიალი "სკანდალი"** 0.30, დოკფ. "გზა ბრაზილიისკენ"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1.7695

ევრო — 2.3994

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0007

100 რუსული რუბლი — 5.1555

**ამინდის პროგნოზი 19 ივნისისთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასტროპროგნოზი 19 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ მოემზადეთ. **კურო** – სიყვარულში გამარჯვება გელოდებათ. **ტყუპები** – სიახლე გწყურიათ, მალე ახალ ცხოვრებას დაიწყებთ. **კირჩხიბი** – გზიდან ფულსა და საჩუქრებს მიიღებთ. **ლომი** – მოულოდნელი ცვლილება სასიკეთოა, თქვენ კი ასე გეშინოდათ. **ქალწული** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – ფულის პრობლემა გაქვთ, ცოტაც მოითმინეთ. **ღრიანკალი** – გარისკავთ და მოიგებთ კიდევაც. **მშვილდოსანი** – წარსულს ვერ ივიწყებთ, არც არის საჭირო, უბრალოდ, მომავალზეც იფიქრეთ. **თხის რქა** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **მერწყული** – საკუთრ თავს გამოცდას უწყობთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თევზები** – ნუ გაფლანგავთ დროს, დრო ფულია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. უმაღლესი მწვერვალი კავკასიონზე; 2. თეთრი, ტკბილი კრისტალური ნივთიერება შაქრის სუროგატი; 3. სასტუმროს თანამშრომელი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. ველური, კაციჭამია; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. შაქრის ლერწმის არაყი; 13. კამათი მეცნიერულ, ლიტერატურულ ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. პურეული მცენარე; 16. ხეობა საქართველოში; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. ალიასკის ადმინისტრაციული ცენტრი.

**თარაზულად:** 6. უბანი ქუთაისში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ფრანგი ბალეტმეისტერი; 9. მოძრავი სცენა თეატრში; 10. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 11. თაღლითი, ყალთაბანდი; 15. სტაჟიორი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 19. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოს გაიანას დედაქალაქი; 21. მუსლიმანური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური სამგზავრო ხელჩანთა; 23. ჩინელი ფილოსოფოსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# რომა რცხილაძე 60 წლისაა



მუსიკოსი რომა რცხილაძე 60 წლისაა. მისი იუბილე დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა, სადაც არაერთი ჰიტის ავტორმა მეგობრებთან ერთად შეასრულა ცნობილი სიმღერები. იუბილარის ნაწარმოებები შეასრულა ბენდმა „სპილო", ჯაზ სექტეტმა „ელ-ვოისი", კონსერვატორიის სიმფონიურმა ორკესტრმა, სახელმწიფო კაპელამ, ინგა ფერაძემ, ანრი ბასილაიამ, თემო რცხილაძემ, ალეკო კვაშალმა, მაია ბარათაშვილმა, თეონა კონტრიძემ, ნინო ქათამაძემ, მაკა ზამბახიძე, თემურ ყვითელაშვილი, ია ჩანტლაძემ, ანსამბლმა „75", ბესო კალანდაძემ. უკვე ცნობილ და შემდგარ მუსიკოსებთან ერთად, შეკრებილი საზოგადოების წინაშე პროექტის „ნიჭიერი" ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე დრამერი გიორგი კაპანაძეც წარდგა.

სცენაზე გამოსულმა იუბილარმა მუსიკოსმა ყველა თავისი ჰიტი შეასრულა, ანსამბლი „75"-დან და „ნატვრის ხიდან" მოყოლებული დღემდე. სპეციალურად ამ კონცერტისთვის სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა 22 სიმღერის ახლებური არანჟირებები, რეპეტიციები. საიუბილეო სალამოს ავტორმა „მინორული მაჟორი" უწოდა. რომა რცხილაძემ გარდაცვლილი მუსიკოსი მეგობრებიც გაიხსენა და მათ არაერთი კომპოზიცია მიუძღვნა. რომა რცხილაძის თქმით, მის მუსიკას ასაკი და დრო არ გააჩნია, რადგან ის, რასაც თავად ქმნის, ნამდვილი მუსიკაა. რაც შეეხება ასაკს, მუსიკოსს ასაკი არ აშინებს, პირიქით, მისთვის 60 წელი აბსოლუტურად არაფერია.

ეკა ირემაშვილი

**16 ივნისიდან ამერიკული ზღაპრები; 17 ივნისიდან ჩეხური ზღაპრები; 18 ივნისიდან ბრაზილიური ზღაპრები; 19 ივნისიდან ფრანგული ზღაპრები.**

**ფასი „ახალ თაობასთან" ერთად — 2 ლარი**

# სოფო ტოროშელიძე გაორმაგებულ ბრძოლას იწყებს



მომღერალი სოფო ტოროშელიძე „იქს ფაქტორში" ჯგუფების მენტორია. ეს ორშაბათი მისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან აუთსაიდერებში აკე და ანა სოფი საакაშვილთან ერთად აღმოჩნდნენ. საბოლოოდ მენტორების არჩევანი სოფის სასარგებლოდ გადაწყდა და სოფო ტოროშელიძე კონკურსში ჯგუფის „სპარკლ" ამარა დარჩა.

„ელდრაინის" სოლისტი თვლის, რომ კონკურსში ყველაფერი მოსალოდნელია, ამიტომაც მენტორები ნებისმიერი „დარტყმისთვის" მზად არიან. სოფოს თქმით, პროექტი მაყურებლისთვის კეთდება და ვინ დარჩება კონკურსში, ამის შესახებ გადაწყვეტილებასაც მაყურებელი იღებს.

**სოფო ტოროშელიძე:**

– კონკურსი ისეთი რამეა, რომ წინასწარ ვერაფერს გათვლი, 50-50-ზეა, შეიძლება აღმოჩნდეს შენი კონკურსანტი აუთსაიდერებში, შეიძლება არ აღმოჩნდეს. ხანდახან ისეთი ფავორიტი კონკურსანტები მოხვდებიან ხოლმე აუთსაიდერების რიგებში, რომ გასაკვირი არაფერი არ არის. სადღაც ველოდი, მაგრამ მაინც იმედი მქონდა, რომ ჩემი კონკურსანტები არ მოხვდებოდნენ აუთსაიდერებში, თუმცა ასე არ მოხდა და ჩემმა აკემ და ანამ დატოვეს პროექტი. წინასწარ ყველაფრისთვის მზად ვართ, იმიტომ, რომ მაყურებელი წყვეტს ყველაფერს. აკეს და ანას აუთსაიდერებში ყოფნა ჩემთვის შოკისმომგვრელი და კატასტროფულად მოულოდნელი არ ყოფილა. მოულოდნელი უფრო ის იქნებოდა და ძალიან არ ვიყავი მომზადებული იმისთვის, ორივე ჯგუფი აუთსაიდერებში რომ მდგარიყო. ეს ყველაზე რთული მომენტია მენტორისთვის. იმედი მქონდა, რომ ასე არ მოხდებოდა და მიხარია, რომ ასე არ მოხდა. ახლა უკვე ერთი ჯგუფი დამრჩა და მისთვის მომიწევს ბრძოლა გაორმაგებულ „მტერთან".

*– თქვენ რომ ჯგუფების მენტორი ხართ, თქვენი „ელდრაინში" მოღვაწეობის დამსახურებაა?*

– ალბათ. თვითონაც ჯგუფში ვარ, შეიძლება ვოკალურ ჯგუფში არ ვარ, მაგრამ გუნდურობის პრინციპი ძალიან კარგად მესმის რას ნიშნავს. ალბათ კიდევ ის არის გასათვალისწინებელი, რომ ჯგუფების კატეგორია იყო ახალი საქართველოსთვის. არც ერთ კონკურსში ჯგუფებს არ მიულია მონაწილეობა და მგონია, რომ პროდიუსერები განსაკუთრებულად მენდნენ, ახალი კატეგორია ჩამბარდა, რათა კარგი მენტორობა გამეწია, რომ მათი ნიშა დამკვიდრებულიყო ისე, როგორც საჭიროა ამ კონკურსში. ყოველთვის უფრო ვოკალისტების კონკურსი ტარდება ხოლმე საქართველოში. ჯგუფების კონკურსი არასდროს ყოფილა. საკმაოდ რთულია ჯგუფებთან მუშაობა, იმიტომ, რომ ერთი ადამიანი როცა დგას სცენაზე, ის მხოლოდ თავის თავზეა დამოკიდებული, როცა სამი და ოთხია, გაცილებით რთულია. მაყურებელიც უფრო მომთხოვნია, თუ სამი დგას სცენაზე, აუცილებლად უნდა მოძრაობდეს, აუცილებლად ხმებში უნდა იყოს გაშლილი. თუ დააკვირდებით, ჯგუფების შემთხვევებში გაორმაგებულია ყველაფერი და უფრო მეტი დატვირთვა აქვთ. ყველაფერი მაყურებლისთვის კეთდება და მათი მხარდაჭერაც მნიშვნელოვანია, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორ გააკეთებ და მოამზადებ ნომერს.

*– „იქს ფაქტორის" პირველი სეზონისთვის ელოდით, რომ ასეთი მრავალფეროვანი კონკურსანტები მოვიდნენ?*

– სიმართლე გითხრათ, ველოდი, რომ მრავალფეროვანი იქნებოდა არჩევანიც და კონკურსანტების სიაც. რაც წინა კონკურსები გვქონდა მუსიკალური, არაერთი საინტერესო სახე აღმოვაჩინეთ. საქართველოს ვარსკვლავში, ნიჭიერში იყვნენ ნამდვილად კარგი მონაწილეები. განსაკუთრებით საქართველოს ვარსკვლავის დროს ჩანდა, რომ ნიჭიერი თაობა მოვიდა, რაც მთავარია, სიახლით სავსე. თუნდაც ნინა სუბლატი ავიღოთ, ის არ ჰგავდა არავის, ასევე ნუკა გვალია, მარიკო ლეჟავა, ლუკა ზაქარიაძე. ჩვენც იმედი გვქონდა, რომ „იქს ფაქტორი" გაცილებით მასშტაბური იქნებოდა, რადგან ბევრი კატეგორიაა და გამოვლინების შესაძლებლობებიც მრავალია, შესაბამისად ბევრი ნიჭიერი, სხვადასხვანაირი კონკურსანტი მოვიდა და მივიღეთ საკმაოდ მრავალფეროვანი და მასშტაბური პროექტი.

*– რამდენად სამართლიანია მაყურებელი, როცა აუთსაიდერებს ავლენს?*

– ვერ ვიტყვი მაყურებელი სამართლიანია თუ უსამართლო, ის მაყურებელია და ვინც მოსწონს და ვისაც თვლის, რომ ღირსია არ იყოს აუთსაიდერი და იყოს პირველ ადგილზე, შესაბამისად იქცევა. მაყურებელი იღებს ამ პროექტში გადაწყვეტილებას და ჩვენ ეს მოგვწონს თუ არა, უნდა მივიღოთ. სოფი საакაშვილი იმსახურებდა აუთსაიდერებში დგომას? ან აკე და ანა იმსახუ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# სერგო ზაქარიაძის წიგნი სამ ტომად გამოიცემა

ცნობილი ქართველ მსახიობს სერგო ზაქარიაძეს 18 ივნისს 105 წელი შეუსრულდებოდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, წიგნი „ჩანაწერები ჩემი ფიქრებისა" გამოიცემა, რომელიც სამ ტომად გამოვა. სამტომეულში თავმოყრილია მსახიობის დღიურები, ჩანაწერები და ესეები. ეს პროექტი მიზნად ისახავს სერგო ზაქარიაძის ხელნაწერი მემკვიდრეობისა და ფოტო მასალის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას.

სერგო ზაქარიაძემ არაერთი დაუვიწყარი სახე შექმნა ქართულ თეატრსა და კინოში. ის მუშაობდა ქუთაისის და თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში, ხოლო შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი გახდა. მოგვიანებით კი სათავეში ჩაუდგა ამ თეატრს როგორც თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. სერგო ზაქარიაძე სცენურ მეტყველებას ასწავლიდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. დიდი მსახიობის სახელს უკავშირდება მრავალი ცნობილი პერსონაჟი როგორც თეატრში, ასევე კინოში. მათ შორის ყველაზე გამორჩეულია გიორგი მახარაშვილი რეზო ჩხეიძის ფილმიდან „ჯარისკაცის მამა".

დიდი მსახიობი 62 წლის ასაკში გარდაიცვალა და ის მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. სერგო ზაქარიაძის წიგნის გამოცემის პროექტი ინიცირებულია მსახიობის შვილიშვილის ნინო ზაქარიაძის მიერ და ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამის: „ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების" ფარგლებში.



ეკა ირემაშვილი

# გიორგი ნაზღაიძე რობერტ სტურუას აკრიტიკებს

მოდელი და წამყვანი გიორგი ნაზღაიძე რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს და რეჟისორს რობერტ სტურუას აკრიტიკებს. მოდელი რეჟისორს ლექსიკას უწუნებს. ნაზღაიძის გაღიზიანება რობერტ სტურუას იმ განცხადებას მოყვა, რომელიც მან თვითმმართველობის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით გააკეთა:

„ნაწყენი საქართველო არჩევნებზე არ გავიდა, აბა რა! ორი წელი გავიდა და ფული არავინ დაურიგა; ბინები არ მისცეს; ბიზნესმენებს აღარ იჭერენ; მოსავალი ისევ თვითონ უნდა მოიყვანოს; აღარავინ არბევს; ქარხნები ისევ დგანან: არავინ უშენებს; ცოლები ისევ დაუკმაყოფილებელი



დაბოდიალობენ; არავინ არავის იჭერს! კაცების გაუპატიურება შეწყდა! ამაზე „ოცნებობდა" ერი?! ფურთხის კი არა, ყველაფრის ღირსი ხარ, უბადრუკო! ნუთუ ისევ უცდი სამხრეთელ პრეზიდენტს, ისევ დედა რომ მოგ...ნას? მაშინ სასწრაფოდ ჩეჩმაში, ისტორიის ჩეჩმაში ყოფილა შენი ადგილი. გული მტკივა, შენ კი გიხარია... ნაწყენი."

გიორგი ნაზღაიძემ რობერტ სტურუა ამ განცხადების გამო პიტბულს შეადარა:

„ასეთი რა გააძლეს, რომ ასე იცავს, ან ასეთი რა პროტეზი აქვს ჩადგმული! ძაღლის ჯიშს მახსენებს პიტბულს, პიტბულმაც ასე იცის, რომ ჩაავლებს, გაშვება აღარ იცის. უბრალოდ განსხვავება იმაშია, რომ ის ავლებს თავის მოწინააღმდეგეს და არა ფულით სავსე ტომარას. რომ ჰკითხო დამსახურებული რეჟისორია, არავინ დავობს, მაგრამ ლექსიკა ამ ასაკისათვის, მე მგონი, მიუღებელია. მით უმეტეს, როდესაც ის თაობაა, რომელმაც ახალგაზრდა თაობას მაგალითი უნდა მოგვცეს და მისი მაგალითი რა არის? მართლაც რომ, ბატონო რობერტ, თქვენ სიტყვებს გავიმეორებ, „ყველაფრის ღირსი ხარ უბადრუკო" საქართველო! და კიდევ დავამატებ, თუ ასეთი ცუდი ერი ვართ, წადით, წადით, ჩემო ბატონო, რა დაგრჩენიათ ამ ქვეყანაში, მაგრამ თქვენ თავად უკეთ იცით, რომ წახვიდეთ."

ეკა ირემაშვილი